კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ვალერი მარაქველიძე

ინვესტიციები ინოვაციებში - ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორი

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური - ეკონომიკის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

შინაარსი

შესავალი..... 5

თავი 1. ინვესტიციების და ინოვაციების, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორების, შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები...10

1.1. ეკონომიკური ზრდის თეორიული მოდელები.....10

1.2. ინვესტიციების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი..... 14

1.3. "ინოვაციის" კონცეფციის განმარტების თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები.....20

1.4. ინვესტიციებისა და ინოვაციების ურთიერთკავშირის კვლევის თეორიული მოდელები..... 26

თავი 2. ინვესტიციების გავლენა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე..... 29

2.1. ინოვაციური პროექტების დაფინანსების თავისებურებები..... 29

2.2. ინოვაციებში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა საქართველოში.....35

თავი 3. ინვესტიციები ინოვაციაში, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.....39

3.1. ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის პრობლემები და მათი დაძლევის გზები..... 39

3.2. კვლევა: ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის..... 44

3.3. ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის, როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორის პერსპექტივები საქართველოში..... 55

დასკვნა.....61

გამოყენებული ლიტერატურა..... 66

დანართი.....71

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, ისეთ

აქტუალურ საკითხს როგორიცაა: ინვესტიციები ინოვაციებში. განხილულია ინვესტიციების ინოვაციებში დაბანდების, როგორც ეკონომიკის ზრდაზე მოქმედი საკვანძო ფაქტორის მნიშვნელობა. გამოკვეთილია სახელმწიფოს როლი ინოვაციური მენეჯმენტის საქმიანობის დანერგვის სფეროში და მისი აღსრულების ინსტრუმენტები.

ნაშრომში განხილულია ინოვაციურის, როგორც მაღალტექნოლოგიური და მაღალრისკიანი პროექტების დაფინანსების თავისებურებები. გაანალიზებულია ინოვაციური პროექტების დაფინანსების წყაროები და შედარებულია ტრადიციული და ინოვაციური ორგანიზაციები, ნაჩვენებია ის უპირატესობები, რომელიც გააჩნია ინოვაციურ ორგანიზაციებს ტრადიციულთან შედარებით. ასევე განხილულია ინოვაციებში ინვესტიციების მოზიდვის მიზანი და მნიშვნელობა საქართველოში.

მესამე თავში გაშუქებულია ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის პრობლემები და მათი დაძლევის გზები, ამ მხრივ გაანალიზებულია საქართველოში შექმნილი სიტუაცია და ჩატარებულია კვლევა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის მნიშვნელობის შესახებ. დასახულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას და დასაბუთებულია ინვესტიციების მნიშვნელობა ამ მიმართებით. ჩატარებული კვლევებისა და რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნები და დასახულია პრაქტიკული წინადადებები.

Annotation

Investing in innovation is a key factor in economic growth

Valeri Marakvelidze

The master's thesis is devoted to the current development of the country's economy in the context of the globalization of the modern world economy, such as investments in innovation. The importance of investing in innovation as a key factor in economic growth is discussed. The role of the state in the introduction of innovative management activities and its enforcement tools has been highlighted.

The paper discusses the peculiarities of financing innovative, high-tech and high-risk projects. Analyzing the sources of funding for innovative projects and comparing traditional and innovative organizations, it shows the advantages that innovative organizations have over traditional ones. The purpose and importance of attracting investment in innovation in Georgia is also discussed.

The third chapter covers the problems of attracting investment in innovation and ways to overcome them, in this regard analyzes the situation in Georgia and conducts research on the importance of attracting investment in innovation for economic development of Georgia. The main directions that should be the basis for the development of innovative economy in Georgia are set and the importance of investments in this regard is substantiated. Based on the analysis of the conducted research and the results of the survey of the respondents, conclusions are made at the end of the paper and practical suggestions are made.

შესავალი

თემის აქტუალობა: დღესდღეისობით ბიზნესს ძლიერ კონკურენტულ გარემოში უწევს საქმიანობის წარმართვა. ეს ეხება, როგორც პროდუქტის წარმოებას ასევე მის შეფუთვას, რეალიზებას და სხვა პროცესების ორგანიზებას. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება სულ უფრო ღრმას და ყოვლისმომცველს ხდის გლობალურ კონკურენტუნარიანობას, რაშიც თავის მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური პროდუქტის შექმნას და ბაზარზე ოპერირებას. ქვეყნები რომლებმაც შეძლეს რომ მაღალი ტექნოლოგიური განვითარების ტემპებისთვის მიეღწიათ მოიპოვეს კიდეც რიგი უპირატესობა კონკურენტულ ბრძოლაში. სწორედ ამიტომ იხარჯება დიდი დრო და სახსრები სამეცნიერო კვლევებისა და მისი შედეგებისთვის, რათა მათი ეფექტური გამოყენება მოხდეს ბიზნესში.

საინვესტიციო საქმიანობისა და მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის ურთიერთკავშირს გააჩნია რამდენიმე ასპექტი. რომელთაგან უმნიშვნელოვანეს წარმოადგენს ინვესტიციების განხილვა, როგორც მეცნიერული კვლევების კატალიზატორის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერების საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პირობებში. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნaს ფორმირებული ინოვაციების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც შექმნის პირობებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე საინვესტიციო საქმიანობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეკონომიკის ხარისხობრივ განვითარებაში. ამ მიმართებით ჩვენ მნიშვნელოვან მომენტად მიგვაჩნია ქვეყნის უნარი მობილიზება გაუკეთოს არა მხოლოდ შიგა, არამედ მოზიდულ ინვესტიციებსა და რესურსებს. ეს უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეკონომიკაში შეიქმნება ხელსაყრელი პირობები საინვესტიციო კაპიტალის ფუნქციონირებისათვის, საგადასახადო, ადამიანის უფლებებისა და ყველა პარტნიორის ბიზნეს-ინტერესების დაცვის კუთხით, ასევე უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყანაში და ინვესტორებისათვის მისაღები ეკონომიკური კურსი.

ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება და შემდგომში მისი წარმატებული მართვა ნებისმიერი ორგანიზაციისა თუ მენეჯერისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ის მენეჯერები, რომელიც თავის კომპანიაში ახერხებენ ინოვაციური მენეჯმენტის ასპექტების დამკვიდრებას და ხორცს ასხამენ ნებისმიერ ინოვაციური იდეას, ხშირ შემთხვევაში არნახულ შედეგებზე გადიან. მათი მთავარი მოტივიც სწორედ კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვების იარაღის ხელში ჩაგდების მცდელობაა. ამ იარაღს სწორედ ინოვაცია ქვია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი იარაღის შექმნას წინ უსწრებს ადამიანთა მუხლჩაუხრელი შრომა, ხელმძღვანელების გაუჩერებელი მმართველობითი პროცესი, უწყვეტი ფიქრი, უზღვავი ემოციები წარმატების მოლოდინში, ამიტომაც მის შედეგს ელოდება ხოლმე საზოგადოების ფართო მასა, რომელიც ამ პროცესს იმედის თვალით უყურებს. სწორედ ეს გარემოება აქცევს ინოვაციურ მენეჯმენტს თემად, რომელიც არა მარტო მეცნიერებისა და ეკონომისტების განხილვის საგანია, არამედ ის უფრო და უფრო მეტად საინტერესო ხდება თანამედროვე მსოფლიოსთვის. (J. Nieminen 2018)

მართალია არსებობს საზოგადოების გარკვეული კატეგორია ვისაც აშინებს სიახლეები და ურჩევნიათ ისევ ძველი, აპრობირებული მეთოდებით იხელმძღვანელონ, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცივილიზებულ სამყაროს სიახლეებისადმი ინტერესი ყოველთვის ჰქონდა. დასაბამიდან ასე იყო საქართველოშიც, ამიტომაცაა რომ საქართველო ყოველთვის იყო და იქნება თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. მართალია ინოვაციურობის თვალსაზრისით მსოფლიოში წამყვანი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ კვლევებში (რომელის შედეგებიც ნაშრომშია განხილული) საქართველოს არ უკავია სახარბიელო ადგილი, მაგრამ აშკარაა მონდომება და პროგრესი ინოვაციურობის კეთილდღეობის მხრივ. სწორედ ამიტომ შევეცადე საკითხის ირგვლივ გამომეკვლია და შემესწავლა საქართველოში ინოვაციური განვითარების კუთხით არსებული მდგომარეობა, არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების შესაძლებლობებზე.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს, განისაზღვროს ინვესტიციების ინოვაციებში დაბანდების მნიშვნელობა და მოხდეს მოსალოდნელი შედეგების ანალიზი.

აღნიშნული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- დადგინდეს ინვესტიციებისა და ინოვაციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.
- განხილულ იქნას ინვესტიციებისა და ინოვაციების, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი.
- შესწავლილ იქნას ინვესტიციები ინოვაციებში, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელთაც თან ახლავს ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- განისაზღვროს ინოვაციების კონცეფციების გამოკვეთისა და მასთან დაკავშირებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები.
- გაანალიზდეს ინვესტიციებისა და ინოვაციების ურთიერთკავშირის კვლევის თეორიული მოდელები.
- შესწავლილ იქნეს ინვესტიციების გავლენა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე.
- განისაზღვროს ინოვაციური პროექტების დაფინანსებისა და ამ მხრივ საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა.
- განისაზღვროს ინოვაციური პროექტების დაფინანსების თავისებურებები.
- დადგინდეს ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის პრობლემები და განისაზღვროს მათი მოგვარების რეალური გზები.
- კვლევის შედეგად განისაზღვროს ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის, როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორის პერსპექტივები საქართველოში.
- უცხოური ინვესტიციების ინოვაციებში ქართული ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის, ასევე ჩატარებული გამოკითხვით

მიღებული შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს დასკვნები და შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში არსებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები და მათი მიდგომები ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის პროცესში. ხოლო კვლევის ობიექტია ინვესტიციების მოზიდვა ინოვაციების განვითარებაში.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევაში შემოთავაზებული შედარებითი პარალელები და ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის შედეგები, როგორც ორგანიზაციის ისე ქვეყნის ეკონომიკაზე მოქმედი დადებითი ეფექტის მქონე საქმიანობის თვალსაჩინო მაგალითები, შესაძლებელია გამოყენებული იქნას, როგორც კომპანიის მენეჯერების მიერ, ასევე ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში მოღვაწე მეცნიერების და მკვლევარების მიერ. ეს ყოველდღიურად გაზრდის ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს, რაც დაეხმარებათ მათ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს უცხოელი მკვლევრების, ასევე ქართველი მკვლევარების ნაშრომები, სახელმძღვანელოები, ჟურნალები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგები და ინტერნეტ რესურსები.

ნაშრომის შესრულების პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სისტემური ანალიზის - იგი საშუალებას იძლევა კომპლექსურად იქნეს განხილული შესასწავლი ობიექტი ან პროცესი მისი ერთიანობის თვალთახედვით. ამასთან ითვალისწინებენ შიდა ქვესისტემებისა და ელემენტების მუშაობას, მათ თვისებებსა და თავისებურებებს. მისი გამოყენებით 1.2; 1.4; 2.1 და 3.1 ქვეთავებში შედარებული იყო მსოფლიო გამოცდილება ინოვაციების დანერგვის სფეროში.

- ლოგიკური მეთოდი - იგი არის რთული სისტემის განვითარების სამეცნიერო აღწერა თეორიულ-ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. მისი

გამოყენებით 1.3; 2,2 და 3.3 ქვეთავებში გაანალიზებულია საქართველოში ინოვაციების განვითარების მდგომარეობა და ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვის მეთოდები.

- ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი - იგი არის მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება ტრადიციული სტატისტიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას, საკვლევი მოვლენის და პროცესის ადეკვატური ასახვის კონტროლის მიზნით. ნაშრომში მრავლადაა მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები და მათი მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი.
- რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის) - მისი დახმარებით მესამე თავის 3.2 ქვეთავში განვახორციელეთ რესპოდენტთა გამოკითხვა და გავაანალიზეთ მიღებული შედეგები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისგან. ნაშრომში სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს:

- ნაშრომში გაანალიზებულია ინვესტიციებისა და ინოვაციების თეორიულ-მეთოდოლოგიური მოდელები.
- შესწავლილი და გამოვლენილია ინვესტიციებისა და ინოვაციების ურთიერთკვეთის ადგილები.
- გამოკვლეულია ინოვაციური პროექტების მოზიდვის მნიშვნელობა საქართველოსთვის.
- თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საქართველოს ადგილი მსოფლიოში მიმდინარე ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის და განვითარების რეიტინგებში.
- გაანალიზებულია პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის და ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის პირდაპირი კავშირები.
- თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია საქართველოში ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების მნიშვნელობის, როგორც ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი საკვანძო ფაქტორის გავლენა.

თავი 1. ინვესტიციების და ინოვაციების, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორების, შესწავლის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

1.1 ეკონომიკური ზრდის თეორიული მოდელები

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და მისი შენარჩუნებაა. ეკონომიკური ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან. სხავადასხვა ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპები აქვთ. გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებამ მსოფლიოში მკვეთრი ცვლილები გამოიწვია, რამაც მკაფიოდ გამოკვეთა ეკონომიკური განვითარების ახალი ტენდეციები. ეს ცვლილებები მსოფლო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობს, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის. ეკონომიკური ზრდა შეგვიძლია გამოვსახოთ ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი და ა.შ. ეკონომიკური ზრდა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გასულ პერიოდთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობის პროდუქციისა და მომსახურების ზრდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ზრდა პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან. სწორედ ამიტომ სახელმწიფოები მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან იმისათვის, რომ აკონტროლონ და არეგულირონ ეკონომიკური ზრდის ტემპები.

ის ქვეყნები, რომლებიც რესურსების მაქსიმალური ეფექტიანად გამოყენებით აღწევენ ეკონომიკურ ზრდას, ისინი განვითარებისა და კეთილდღეობის მაღალ საფეხურზე არიან, ხოლო რესურსების არაეფექტიანად გამოყენებით მიღწეული ეკონომიკური ზრდა გრძელვადიან პერიოდში რეცესიას გამოიწვევს (ე. გეგეშიძე 2010). რაც არ უნდა ვთქვათ, ცხადია რომ პოლიტიკა ძალიან დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ასე იყო პირველყოფილ თემებშიც,

მონათმფლობელობის პერიოდში, ფეოდალიზმის პერიოდში, კომუნისტურ მმართველობასა თუ დღევანდელ ცხოვრებაში. ქართული მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყველა ეპოქამ თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის სასიკეთო პროგრესსა თუ ნეგატივში.

ყოველთვის იყო განხილვის საგანი, სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის აუცილებლობა. მაგალითად: ეკონომიკური თეორიის კლასიკოსი და აღიარებული ეკონომისტი ადამ სმითი (1723-1790) ფიქრობდა, რომ მთავრობის შეცდომებს შეიძლებოდა სახელმწიფო დიდ დანაკარგებამდე და უფსკრულამდეც კი მიეყვანა, ამიტომ ის ავითარებს „თვითრეგულირების“ მიდგომას, რომელიც თავის თავში მოიცავდა „უხილავი ხელის“, „თავისუფალი კონკურენციის“ და „შრომის დანაწილების“ ასპექტებს. ყოველივე ეს სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მინიმიზებას გულისხმობდა. ადამ სმიტის შემდეგ იყო დეივიდ რიკარდო (1772-1823), რომელიც ასევე „თვითრეგულირების“ მომხრედ მოიაზრებოდა. (R. Peet, E.Hartwick 2009)

სმიტისა და რიკარდოსგან განსხვავებით სახელმწიფო პოლიტიკასა და ეკონომიკურ საქმიანობას შორის დიდ კავშირს ხედავდა ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი (1883-1946), რომელმაც თავისი შეხედულებები კარგად გამოხატა მის ნაშრომებში. მის ნაშრომში „გზა აყვავებისკენ“ მოცემული იყო რიგი შეთავაზებები ხელისუფლებისადმი კრიზისიდან გამოსვლის გზებზე, ინვესტიციების ზრდასა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად. გარდა ამისა, მანვე შეიმუშავა პროგრამა კრიზისის დაძლევის შესახებ, რომლის განხორციელებაში მთავარი როლი მთავრობას დააკისრა. (რ. ლორთქიფანიძე 2013)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკა პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ეკონომისტების მოსაზრებები ძხშირ შემთხვევაში პოლიტიკური ფუნდამეტით არის გამყარებული, რადგან პოლიტიკის ეფექტიანად მუშაობა მაშინ არის შესამჩნევი, როცა ადამიანებს დაკმაყოფილებული აქვთ პირველადი მოთხოვნები, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველ რიგში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, თუ რა უნდა იქნას შეფასებული:

ბედნიერება, განვითარება თუ ეკონომიკური ზრდა. აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ: ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება ქვეყნისთვი კეთილდღეობისთვის.

ქვეყნის მთავრობებისთვის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი კურსი არის ეკონომიკური ქმედებების წახალისება ისე, რომ არ იყოს ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი, (სხვანაირად რომ ვთქვათ, მშპ ს ზრდა უნდა ხდებოდეს ფასების ზრდის გარეშე.) ანუ, ქვეყანაში ბრუნავს საჭირო რაოდენობის ფული იმის ფონზე, რომ ცალკეული პროდუქციის ფასები არის სტაბილური, შესაბამისად იზრდება ქვეყნის ეკონომიკური რესურსების სიმძლავრის პროდუქტიულობა და ეფექტიანობა.

მეცნიერები ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას, იმიტომ მიჯნავენ ერთმანეთისგან, რომ ეკონომიკური განვითარება თავის თავში მოიცავს გაცილებით მეტს, ვიდრე ეკონომიკური ზრდა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის დიდი კავშირიც არსებობს. ეს შეგვიძლია დავასკვნათ იქიდან, რომ ეკონომიკის უწყვეტ ზრდას, რომელიც ძირითადად რაოდენობრივი, რიცხვობრივი სახითაა თვალსაჩინო, საბოლოოდ მაინც თან სდევს თვისობრივში (ეკონომიკურ განვითარებაში) გადაზრდა. ეკონომიკური განვითარება უფრო გრძელვადიან პერიოდში გამოიხატება. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება მიმდინარეობდეს ეკონომიკური განვითარების გარეშე. მხოლოდ ციფრების ზრდა არ გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. შეიძლება ამ პროცესს თან სდევდეს სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების უარყოფითი მოვლენები, მაგალითად: ინფლაცია და ა.შ. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ტრადიციული ეკონომიკა, რომელთა ეკონომიკური მასშტაბების გადიდება დიდი ხნის მანძილზე ეკონომიკური განვითარების გარეშე მიმდინარეობდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების არსებობაც შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის გარეშე.

ტერმინები „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება“, როგორც უკვე აღვნიშნეთ დაკავშირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის მატებასა და ცხოვრების დონის ზრდასთან. აღნიშნული პროცესების ეფექტიანობის

შესაფასებლად შემოღებული იქნა გაზომვადი სიდიდეები, რამაც თავის მხრივ **ეკონომეტრიკის** (მეცნიერება ეკონომიკური მონაცემების სტატისტიკური დამუშავების შესახებ) მნიშვნელობა გაზარდა. მისი ინდიკატორები: მშპ, ინფლაციის დონე, უმუშევრობის დონე, არის ის, რაც ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს ზომავს. გარდა ამისა, არსებობს რიგი ინდიკატორები, რომლებიც ცალკეულ სურათს ქმნიან ქვეყნების ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის შეფასებაში. ესენია: მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი, (რომელიც დაკავშირებულია ისეთ ნეგატიურ მოვლენებთან, როგორიცაა გარემოს დაბინძურება და გარემოს გამოფიტვა) მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის საზომის (ISEW) განსაზღვრის ფორმულა გამოისახება შემდეგნაირად: (О. А. Кисицына 2016)

$$ISEW = P + Q - M + K + N - G - E.$$

sadav P- არის პერსონალური მოხმარება, Q - სახელმწიფო ხარჯები გარდა თავდაცვის, M - თავდაცვის კერძო დანახარჯები, K- კაპიტალის ფორმირება, N - საშინაო შრომითი ძალებიდან მიღებული მომსახურება, G - გარემოს ზემოქმედების ხარჯები, E - ეროვნული კაპიტალის ცვეთა.

თუმცა ამ უკანასკნელი ინდიკატორების უგულვებელყოფა მოხდა, იქიდან გამომდინარე რომ ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული მათი კვლევა.

ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის გასაზომად არსებობს კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელსაც ჰუმანური განვითარების ინდექსი ეწოდება და მისი განსაზღვრისთვის გამოიყენება 3 სხვადასხვა სახის ინდექსი: (M. Roser 2019)

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (L).
- განათლების დონის ინდექსი(E).
- რეალური საშუალო შემოსავლების ინდექსი(Y).

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლებისა და ინდიკატორებისა ვეთანხმები აზრს, რომ შეფასების მაჩვენებლებს შორის მშპ ყველაზე უკეთესია. „მშპ ისტორიული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაკროეკონომის შეფასებისთვის მთავარი პროგრესის ინდიკატორია,

მართალია ის ბევრს ვერაფერს გვეუბნება მომავალზე, მაგრამ იძლევა კარგი პროგნოზირების საშუალებას.“

ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ ამა თუ იმ ქვეყნის ანალიზი თუ რამდენად მიმზიდველია. მიმზიდველობა კი განაპირობებს ინვესტიციების მოზიდვას რასაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში უდიდესი როლი აკისრია.

1.2. ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი

ინვესტიცია - ეს არის ფულის დაბანდება ეკონომიკურ საქმიანობაში რომელიც მოგების მიღების საშულებას იძლება. ის კლასიფიცირდება სხვადასხვა მიმართულებებით: ეს შეიძლება იყოს საქმიანობის სფეროს, მოგების დონის, ინვესტირების მიზნის, დროის და კიდევ სხვა უამრავი ფაქტორებით. ინვესტიციების ძირითადი ფორმები და სახეები მოცემულია ნახაზზე (იხ. ნახ. 1.1). (ვ. ბაქრაძე 2019)



ნახ. 1.1. ინვესტიციების ძირითადი ფორმები და სახეებია

ჩამოთვლილი ინვესტიციის ფორმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო ანუ უცხოური ინვესტიციების ზემოქმედება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოტენციალზე. ქვეყანაში, სადაც ინვესტიციების აკუმულირება ხდება, ინვესტიციების გავლენა თავს იჩენს მრავალ დადებით ეფექტებში, ისეთებში როგორიცაა: ეკონომიკური ზრდის ტემპის დინამიკის პოზიტიური ცვლილება, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისადმი ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში, სადაც ინვესტიციური კაპიტალის ნაკადის უწყვეტი შემოდინება ხდება, თან სდევს მეურნეობების დარგობრივი სტრუქტურიზაციის ხელშეწყობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვესტირების დროს შიდა ინვესტირებაა თუ საგარეო(უცხოური) დაგროვილი დანაზოგების განთავსება ხდება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ახლა განვიხილოთ თუ რატომ ექცევა განსაკუთრებული ყურადღება უცხოური ინვესტიციების როლს ქვეყნის ეკონომიკაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება, არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, რომელიც მიმღებ ქვეყანაში შემოდის, არამედ ეს არის ინსტრუმენტი, რომელსაც ქვეყანაში შემოაქვს: ცოდნა, ინტელექტი, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მაჩვენებლები, ბრენდი და ა.შ. ყოველივე ეს ხელს უწყობს ქვეყნის გლობალურ ბაზარზე ინტეგრაციას, ცნობადობას და შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეს წარმატებული საექსპორტო ხედვები. აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები ერთგვარი საზომია ქვეყნის წარმატებული კურსის, ამიტომაც ქვეყნები ცდილობენ შექმნან ხელსაყრელი პირობები ბიზნესის უსაფრთხოდ კეთების პირობებში, ცდილობენ მოიზიდონ მეტი ცოდნა და კაპიტალი, რასაც თავის მხრივ ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ინვესტიციებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკა, სტაბილური ეკონომიკა, მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემა, ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი.

ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნისთვის ძალიან ბევრი კარგის მოტანას ნიშნავს: ის ქვეყანას აძლევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და ქვეყნის აღმავლობის კურსით წასვლის საშუალებას. ეს გამოიხატება თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვაში, გლობალური მენეჯერული უნარ-ჩვევების დანერგვასა და უცხოურ გამოცდილებაზე დამყარებული მენეჯმენტის ხელმისაწვდომობში. იზრდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ძლიერდება ეკონომიკურ სტაბილურობა, რაც თავის მხრივ აუმჯობესებს ქვეყნის სოციალურ ფონს. (ვ. ბაქრაძე 2019)

ქვეყნის საერთო ეკონომიკური ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ინვესტიციების პოზიტიურ დინამიკასთან. სტაბილური ეკონომიკური ზრდისას პირდაპირპროპორციულად იზრდება ინვესტიციების მოცულობაც. ეკონომიკური კრიზისის დროს, პირიქით, ინვესტიციების საერთო მოცულობა ეცემა. თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ინვესტიციები უბრალოდ ერთ

ადგილას იყინება და არც იზრდება და არც იკლებს. ასეთ დროს ქვეყანამ უნდა მოახდინოს ცვლილებები, რათა მოიზიდოს ახალი ინვესტორები, რომელიც მიმართული იქნება არსებული აქტივების განახლებისკენ. საინვესტიციო კრიზისის დროს მთავრობას წამყვანი როლი ეკისრება. იმისათვის, რომ ინვესტირების დადებითი დინამიკა იქნას შენარჩუნებული ქვეყანამ აუცილებელია შეიმუშაოს ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ქვეყანას არსებული მდგომარეობიდან გამოიყვანს.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის არსებული მდგომარეობა პირდაპირ ცვლის ინვესტიციების დინამიკას. როცა ქვეყანა აღმავლობის პერიოდშია და სტაბილური ეკონომიკური ზრდა აქვს, მაშინ შესამჩნევია ინვესტიციების ზრდის დინამიკა, ხოლო როდესაც ქვეყანა კრიზისშია: არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო ინვესტიციების დინამიკაც ეცემა. საქართველოს მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია ნათლად დავინახოთ კრიზის პერიოდში ინვესტიციების რეკორდული კლება გასულ წლებთან შედარებით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის შემდგომი პერიოდი, როცა საქართველო ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც კრიზისს განიცდიდა (იხ. დიაგრამა 1.1): (საქსტატი 2019)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები უშუალო გავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა მოცულობაზე. განსაკუთრებით ამას განიცდიან ისეთი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ დიდი გასაღების ბაზრები და არ არიან უზრუნველყოფილი რესურსებით. ის რესურსები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ასეთ დროს ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება.



წყარო: დიაგრამა შედგენილია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 1996-2019 წწ. მლნ. აშშ დოლარი

აღნიშნული გრაფიკი ასახავს თუ რა გავლენა იქონია 2005 წლიდან გატარებულმა რეფორმებმა და ახალმა პოლიტიკურმა კურსმა ინვესტიციების შემოდინებაში. 2006 წელს ინვესტიციათა რაოდენობამ 1 171,2 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 2.5 ჯერ მეტია. ასეთივე ტემპი გაგრძელდა 2007 წელსაც, როდესაც იმ დროისთვის მაქსიმალურ რაოდენობას მიაღწია (1 764,7აშშ დოლარი), რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.5 ჯერ მეტია. მეცნიერთა მოსაზრებით ასეთი პროგრესი ინვესტიციების შემოდინების თვალსაზრისით ბიზნეს გარემოს მკვეთრი გაუმჯობესების შედეგად მოხდა. 2004 წლიდან მოყოლებული ძირეულმა რეფორმებმა საფინანსო და საგადასახადო სისტემებში ხელი შეუწყო განვითარების და ეკონომიკური ზრდის სტაბილურ განვითარებას. რასაც ვერ ვიტყვით 2008, 2009 და 2010 წლებზე, როდესაც დინამიკა მკვეთრად გაუარესდა. 2008 წლისთვის დაემთხვა ორმაგი კრიზისი: ეს იყო საომარი ვითარებები რესეთთან და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც დიდი გავლენა იქონია უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე.

ასევე საინტერესოა ის დინამიკა, თუ რომელ ქვეყნებზე მოდის საქართველოში ინვესტირებული თანხის ყველაზე დიდი წილი. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის კვლევაზე დაყრდნობით ეს მონაცემები ქვეყნების მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1.2):



წყარო: დიაგრამა აგებულია საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.
დიაგრამა 1.2. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია მკაფიოდ დავინახოთ, როგორ არის დაკავშირებული ქვეყნის განვითარებისა თუ დაღმავლობის კურსი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებზე. ინვესტიციები კი ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა ქვეყნის რადიკალური განვითარებისთვის. სახეზე გვაქვს ერთგვარი ჯაჭვი, თუ როგორ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ინვესტიციების მოზიდვას, ხოლო მოზიდული ინვესტიციები თავის მხრივ, როგორ ეხმარება ქვეყანას გახდეს უფრო მეტად კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი საერთაშორისო ასპარეზზე.

რასაკვირველია, მარტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როდი განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ინვესტირების ისეთი ფორმები, როგორიცაა: შიდა ინვესტიციები, უცხოური პორტფელური ინვესტიციები და ასევე ინვესტიციები, რომელიც ინოვაციებშია დაბანდებული. ინვესტიციები ინოვაციებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრისკიანი ინვესტიციაა, თუმცა მომგებიანობის და სარგებლიანობის მხრივ, ერთ-ერთი

მაღალშემოსავლიანია. ასევე ინოვაციები განხილული უნდა იქნას, როგორც ქვეყნის წარმატების საკვანძო ფაქტორი.

1.3. „ინოვაციის“ კონცეფციის განმარტების თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები.

სამყარო უძველესი დროიდან დღემდე მუდმივ პროგრესს განიცდის, ის ტექნოლოგიები და მიგნებები, რაც სრული სიახლე იყო დაახლოებით 20 ან 50 წლის წინ დღეს უკვე მათი დიდი ნაწილი მოძველებული და გამოუსადეგარია. ასე ხდება დღესაც. ყოველი ახალი დღე სიახლეს ნერგავს ადამიანთა ცნობიერებაში, ეს ყველაფერი კი იმ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ნაწილია, რასაც სამყარომ განსაკუთრებული სისწრაფით ბოლო საუკუნეების განმავლობაში მიაღწია. ერთმა გამოგონებამ გზა გაუხსნა მეორე გამოგონებას, თანაც ისე, რომ ადამიანი ამ ყველაფრის გაცნობიერებასაც ვერ ასწრებდა და დღეს გამოგონებათა ერთიანმა ჯაჭვმა ის სამყარო შექმნა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ. ელექტროენერგიის, კომპიუტერის, სამედიცინო ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების, მობილურების და სხვა **ინოვაციური** მომსახურებისა თუ პროდუქტის გარეშე ხვალინდელი დღე უბრალოდ წარმოუდგენელი გახდა. (E. Fleisch 2014)

ინოვაციები იქცა ხელსაწყოდ, რომელიც სხვადასხვა სფეროში ორგანიზაციათა თანამედროვეობის საზომად გამოიყენება, როგორც მერკეტინგული, ისე მენეჯმენტის კუთხითაც. მანამდე სანამ ასე მოხდებოდა, რასაკვირველია, მეცნიერთა მხრიდა ხდებოდა აღნიშნულ საკითხის სწავლება, ექსპერიმენტების ჩატარება, კვლევის მეთოდების შემუშავება და ა.შ. სწორედ ამ კვლევების საფუძველზე იხვეწებოდა ინოვაციების თეორიული ასპექტები, რომელთაც დიდი ადგილი ჰპოვეს ინოვაციათა პრაქტიკულ დანერგვაში. დღესდღეისობით არაერთი მეცნიერი თუ ეკონომისტია დაინტერესებული ინოვაციების კვლევით.

გავრცელებული ვერსიით ინოვაციების ცნება კულტუროლოგებმა 1540-1550 წლებში გამოიყენეს. ამით ისინი გამოხატავდნენ ერთი კულტურის ელემენტების

აღრევას მეორეში. ტერმინის შინაარსი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. განსაკუთრებით მეოცე საუკუნის შუა საუკუნეებიდან მაშინ, როდესაც იმ დროის აღიარებულმა ეკონომისტმა იოზეფ შუმპეტერმა თავის ნაშრომებში სიტყვა ინოვაცია გამოიყენა, როგორც მოგების მაქსიმიზაციის ხერხი. შეიძლება ითქვას რომ მას შემდეგ მოხდა ინოვაციის სახეცვლილი შინაარსის თანამედროვე აღქმა და დაიწყო მისი აქტიური გამოყენება. (Kopp C.M. 2019)

საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ განმარტავენ ცალკეული მეცნიერები ინოვაციას: ი. შუმპეტერი(1883-1950) თვლიდა, რომ ინოვაცია არის სამეცნიერო-ორგანიზაციული კომბინაცია, რომელიც ორიენტირებულია მოგების მიღებაზე. ტ. ბრაიანის (ნაშრომი „მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების მართვა“) განმარტებით: „ინოვაცია არის პროცესი როდესაც სიახლე ან იდეა ეკონომიკურ შინაარს იძენს.“ ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინოვაციის არსი მდგომარეობს ცვლილებებში. დროთა განმავლობაში მოხდა ინოვაციის ცნების აღქმის სახეცვლილება და დღეისთვის ზოგადად ინოვაციების კონცეფცია მოიცავს სიახლეების გაცილებით დიდ არეალს, განსაკუთრებით ბოლო წლებში. თანამედროვეობაში ინოვაცია ასოცირებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და ტექნოლოგიურ სიახლეებთან. (მ. ბახტაძე 2019)

საქართველოში ინოვაციების განვითარებისა და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2016 წლის 12 ივლის საქართველოს კანონის „ინოვაციების შესახებ“ მიღება. მის მე-2 მუხლში მოყვანილია ტერმინთა განმარტებები, რომელშიც სრულად არის განმარტებული ის ტერმინოლოგია, რომელიც მნიშვნელოვანია ამ კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის. ასევე კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს მთავრობასთან არსებული კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებული ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ფუნქციები და ამოცანები. კანონში ჩამოყალიბებულია დაფინანსების ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც დაეხმარება ინოვაციური საქმიანობით დაკავებულ ფიზიკურ პირებსა და სამეურნეო სუბიექტებს ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში. ამ კანონის

მე-19 მუხლში კანონის ძალით არის დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლება. (კანონი, ინოვაციების შესახებ 2016)

ინოვაციის კონცეფცია სხვადასხვანაირად შეიძლება იქნას განხილული. ინოვაციის კონცეფცია ეხება ორგანიზაციის პროდუქტებში, პროცესებსა და სტრატეგიებში, როგორც რადიკალურ ისე თანდათანობით ცვლილებებს. იქიდან გამომდინარე, რომ ინოვაციის მიზანი სწორედ ეკონომიკის ზრდა, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მომხმარებელთა კმაყოფილებაა. ინოვაციის კონცეფცია შეიძლება იდენტიფიცირებული იქნას მეწარმეობის კონცეფციასთან იქიდან გამომდინარე, რომ მეწარმეობა არის ორგანიზაციის მონდომება მუშაობის გასაუმჯობესებლად და ახალი შესაძლებლობების შესაქმნელად.

კომპანიების გარკვეული ნაწილი ორიენტირებულია განსხვავებული ინოვაციების შექმნაზე, ხოლო გარკვეული ნაწილი უკვე არსებული პროდუქტის გაუმჯობესებაზე მუშაობს. ეს დამოკიდებულია დარგზე სადაც ის ვრცელდება, ასევე მასშტაბსა და ინტენსიურობაზე. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სქემა თუ როგორ გამოიყურება ინოვაციების კლასიფიკაცია (იხ. ნახ. 1.2):



ნახ.1.2. ინოვაციების ტიპების კლასიფიკაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ისეთი საწარმოები ფუნქციონირებენ, რომლებიც სპეციალიზებული არიან ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების წარმოებაში. მათ აქვთ იმისი მატერიალური შესაძლებლობები ყავდეთ კვალიფიციური პერსონალი და უზრუნველყონ ინოვაციური პროცესების

დინამიურობის შენარჩუნება, შესაბამისად ისინი ინარჩუნებენ ლიდერობას, როგორც საკუთარ ისე მსოფლიო ბაზარზე. სხვა კომპანიებისთვის რთულია ფეხი აუწყონ ისეთ ბრენდებს საერთაშორისო ბიზნეს სივრცეში, როგორიცაა: GOOGLE, APPLE, FACEBOOK, TESLA, AMAZONI და სხვები... მათ მთლიანად შეუცვალეს თანამედროვე ეკონომიკას სახე. ბიზნესის წარმოების წესები სრულიად განსხვავებული გახდა არსებულ მოდელებთან შედარებით. ამ კომპანიებს ძირითადი საერთო მახასიათებლები აქვთ: ინოვაციურობა, განსხვავებულობა, სიახლე და მათი პრაქტიკული გამოყენების კომერციალიზაციის უნარი. მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიანი ბრენდების ტოპ-10-ული მოცემულია დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1.3). (Forbes. GLOBAL 2000, 2019)



წყარო: დიაგრამა შედგენილია GLOBAL 2000-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3. მსოფლიოს უმსხვილესი და შემოსავლიანი ბრენდები 2019 წლის მონაცემებით (მილიარდ აშშ დოლარებში)

თანამედროვეობა ინოვაციის გარეშე არაფერია. ამ სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც დამოუკიდებლად ისე მონათესავე სიტყვებთან ერთად: „ინოვაციური საქმიანობა", „ინოვაციური პროცესები" და ა.შ. სოციოლოგიურ ლექსიკონებში ინოვაცია ეს არის ცვლილების პროცესი, არსებულ სისტემაში მატერიალური და არამატერიალური კულტურის ახალი ელემენტების შექმნასა და დანერგვასთან. თანამედროვე ეკონომიკურ ლექსიკონში ინოვაციები

დაკავშირებულია სიახლეების შემოღებასთან: ტექნიკის, ტექნოლოგიის და მართვის სფეროში, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებასა და გამოცდილების გამოყენებასთან.

რას ნიშნავს ინოვაცია? როგორ მოქმედებს ის და როგორ მართავენ მას კომპანიები. იმისათვის რომ ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიების საიდუმლო გარკვეულ დონეზე მაინც გავიგოთ, ამისათვის აუცილებელია გავაანალიზოთ თუ რას ნიშნავს აღნიშნული ტერმინი და მისი დეფინიცია. ამერიკელი პროფესორის მელისა შილინგის განმარტებით: „ინოვაცია არის პროცესების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ახალ მოწყობილობას, მეთოდს ან მასალას კომერციული და პრაქტიკული მიზნით გამოყენებისთვის.“ აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაცია არის ისეთი სახის აქტივობა, რომელიც ქმნის რაიმე სიახლეს, ჯერ არარსებულს. ის უნდა ქმნიდეს რეალურ ღირებულებას კომერციული და პერსონალური გამოყენებისთვის, ის უნდა იქცეს მნიშვნელოვან ელემენტად მომხმარებლის ყოველდღიურობაში. ინოვაციურია გამოგონება, რომელიც შეგვიძლია გავაიგივოთ მოწყობილობასთან, ტექნოლოგიურ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოყენებასთან. ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთისგან განვასხვავოთ უბრალოდ გამოგონება და ინოვაციური გამოგონება. არსებობს გამოგონებები რომლებიც უბრალოდ შეიქმნა და გაქრა, რადგან მან ვერ ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება, ხოლო გამოგონებები, რომელბიც ინოვაციებად გარდაიქმნა ეს კი არის ინოვაციების მართვის საგანი. დაკარგულა გამოგონება, რომელიც გამომგონებელთა მხრიდან ხდება მათი არაკომერციალიზაცია მომხმარებლის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად გამოგონება მაშინ არის ინოვაციური, როდესაც იგი ღირებულებას ქმნის მომხმარებლისთვის. (Luenendonk M. 2017)

გამომდინარე იქიდან, რომ ინოვაციები შეიძლება განხილული იქნას ბევრი თვალსაზრისით: ტექნოლოგიასთან, კომერციასთან, სოციალურ სისტემებთან, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებასთან, შესაბამისად სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ინოვაციის კონცეპტუალიზაციისადმი მიდგომების

ფართო სპექტრი. მაგალითისთვის სამეცნიერო ლიტერატურაში „ინოვაციის კონცეპცია“ ხშირად შედარებულია „გამოგონების კონცეფციასთან“.

როგორც უკვე განვმარტეთ, ინოვაცია ეს არის ისეთი გამოგონება, რომელიც რაიმე ღირებულს ქმნის მისი მომხმარებლისთვის. ინოვაცია ბიზნესში ეს არის თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამოყენების პროცესი. დღეს წარმოუდგენელია ბიზნესი, რომელისაც არ შეაქვს ინოვაციური შტრიხები თავის საქმიანობაში, რადგან ესაა პრინციპულად ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის წარმოების, უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვის და ინოვაციური მენეჯმენტის თვისობრივი სრულყოფის ერთიანი პროცესი. აქედან გამომდინარე თანამედროვე ბიზნესი მოითხოვს სამეცნიერო ცოდნის, ჯერ არარსებულ პროდუქტად, ტექნიკად და მართვის სისტემებად, გარდაქმნას. სიახლის გარეშე წინ სვლა დღევანდელი გლობალიზაციისა და კონკურენციის პირობებში შეუძლებელია, თუმცა ბევრს ვერ მოგვიტანს ინოვაცია თუ ის არ ვმართეთ. საინტერესოა ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს თუ:

1. რას წარმოადგენს ინოვაციების მართვა?
2. რა არის მათი მთავარი ამოცანა?
3. რა კომპონენტებისგან შედგება?

პირველ რიგში განვმარტოთ ინოვაციების მართვა, ესაა პროცესების სისტემური ერთობლიობა, რომლის დახმარებითაც ორგანიზაცია და მისი პერსონალი ურთიერთშეთანხმებით ქმნიან და მართავენ ინოვაციების შექმნის აქტივობებს, ქმნამ ახალ მოწყობილობებს, მეთოდებს და ა.შ.

ინოვაციების მართვის ამოცანებს წარმოადგენს:

- იდეების მოძიების, გენერირების, შერჩევის, კომბინირების და დოკუმენტირების მართვის პროცესი.
- ინოვაციური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რაც გულისხმობს იმის გაანალიზებას თუ რომელი პროექტების ინვესტირება უნდა მოხდეს და რომელზე ითქვას უარი.
- ინოვაციური პროექტების დაგეგმა და მათი წარმოების პროცესის მართვა.

კარგად უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ ინოვაციების მართვის პროცესი, უწყვეტი ორგანიზაციული სწავლის შედეგია თავისი შეცდომებითა და წარმატებებით. ინოვაციების მართვის პროცესი მოიცავს ისეთ კომპონენტებს როგორიცაა: ორგანიზაციული მისიის, ღირებულებების და მიზნების იდენტიფიცირება, შესრულების დაგეგმვა და შესრულების კონტროლი და მონიტორინგი. (The Innovation Times 2016)

ნახ.1.3. ინოვაციების მართვის 6 კომპონენტი

1.4. ინვესტიციებისა და ინოვაციების ურთიერთკავშირის კვლევის თეორიული მიდგომები

ჩვენთვის უკვე კარგად არის ცნობილი, რომ ინვესტიციები რაიმე პროექტის განვითარების, თვისობრივი და გარეგნული სრულყოფისკენაა მიმართულიმ რომელიც მომავალში რაიმე ეფექტის ან შედეგის მისაღებად გამოიყენება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: ეს არის დაბანდებული კაპიტალი, ჩვენივე სურვილების დასაკმაყოფილებლად (ხშირ შემთხვევაში მოგების). ინვესტირებამ შეიძლება მოგვიტანოს სხვადასხვა სახის შედეგები. ეს შეიძლება იყოს ფულადი მოგება, რაიმე ქონების მიღება, ახალი ტექნოლოგიების წარმოების უფლება, ან ისეთი

ეფექტის მიღებაზე, როგორიცაა: სოციალურ, ეკოლოგიური, პოლიტიკური და სხვა.

წინა თავში განხილული ინოვაციური პროდუქტიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი, რომ ინოვაცია არის, პროდუქტის, მომსახურების და ტექნოლოგიების უფრო ახალი ან გაუმჯობესებული ფორმა, რომელიც ბაზარზე გამოჩნდა და ოპერირებს, რიგი საწარმოო, ტექნიკური, ინტელექტუალური და კომერციული საქმიანობების განხორცილებით.

ჩვენ უკვე განვიხილეთ და გამოვიკვლეთ ინვესტიციების და ინოვაციების მისწრაფებები და აღმოვაჩინეთ, რომ ორივე მათგანს რისკისადმი მოსალოდნელი შედეგებიდან გამომდინარე, საკმაოდ ერთგვაროვანი, აგრესიული დამოკიდებულება აქვთ. აქვე განვიხილოთ ორგანიზაციები, განსკუთრებით კომერციული სახის ორგანიზაციები, რომლებიც მიისწრაფიან მუდმივი განვითარებისკენ და საკუთარი პროდუქტის ან მომსახურების სრულყოფისკენ, რის უზრუნველყოფაც ინოვაციურ პროდუქტს შეუძლია. დიდია იმ ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკისთვის, რომელსაც ორგანიზაციები აბანდებენ, განსაკუთრებით კი ინოვაციებში დაბანდებული ინვესტიციები. აღნიშნული კვლევა ცხადჰყოფს, რომ ინვესტიციები, ინოვაციები და ორგანიზაციები, რომლებიც განვითარებასა და სრულყოფისკენ მიისწრაფვიან, ერთ მთლიან წრედს ქმნიან, რომელიც ჯაჭვურ რეაქციას ჰგავს.



ნახ. 1.4. ინვესტიციების, ინოვაციებისა და ორგანიზაციების წრედი.

წინა თავში განვიხილეთ ინოვაციის ეტაპები და აღვნიშნეთ რომ არსებობს პროდუქტის ინოვაცია და პროცესის ინოვაცია. პროდუქტის ინოვაცია არის, როდესაც ხდება ახალი დიზაინის მქონე საქონლის შექმნა, ახალი ელემენტებით დატვირთლი და გადასხვაფერებულ, ან არსებულის პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეცვლა და შექმნა, ხოლო პროცესის ინოვაცია მოიცავს, ახალ საწარმოო პროცესს, ახალი ტექნიკის დარგვასა და მომსახურების წარმოებაში მიწოდებას. ინოვაციური პროცესი იწყება ბაზრის კვლევით, ახალი იდეის განვითარებით, დატესტვით და შემდეგ უკვე პროდუქტის დაგეგმვით. ზოგადად მიჩნეულია რომ ფირმა მაშინ არის ინოვაციურო როდესაც ნერგავს ახალ პროდუქტებს ან არსებულ პროდუქტებს უცვლის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და აუმჯობესებს. ინოვაციურად ითვლება საწარმო როდესაც ინვესტიციები ინოვაციებში და ინოვაციური გაყიდვები დადებითია. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფირმები, რომლებიც მეტ ინვესტიციას დებენ ინოვაციურ აქტივობებში და მეტი უნარი აქვთ განვითარებისთვის, გაზრდიან მწარმოებლურობას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციებსა და ინვესტიციებს შორის ძალიან დიდი კავშირი არსებობს, რომელთან დაკავშირებასაც ინოვატორი ორგანიზაციები უწყობენ ხელს.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ მსხვილი საწარმოები უფრო მეტად და ხშირად ახორციელებენ ინვესტიციებს ინოვაციურ აქტივობებში ვიდრე მცირე ფირმები. ფირმის გადაწყვეტილება, რომ ინვესტიცია განახორციელონ ინოვაციებში იზრდება მისი ზომის, საბაზრო წილის, მოთხოვნის ზრდის და ტექნოლოგიების განვითარების მამოძრავებელი ძალების შემთხვევაში. არაერთხელ ჩატარებული კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს ეფუძნება გვიჩვენებს, რომ ევროპულ კომპანიებში ფირმის ფუნქციონირების და მწარმოებლურობის მაღალი დონე სწორედ რომ ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგია. ინოვაციებს კი ის ფირმები ავითარებენ უფრო მეტად, რომლებიც არ იშურებენ რესურსებს კვლევა-განვითარებაში ინვესტიციების დასაბანდებლად.

თავი 2. ინვესტიციების გავლენა ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე

2.1 ინოვაციური პროექტების დაფინანსების თავისებურებები

როდესაც პროექტი მაღალტექნოლოგიური და მაღალრისკიანია, რთულდება ფინანსების მოძებნა, რომელიც ამ პროექტის განხორციელებისთვის იქნება საჭირო. ინოვაციას ჭირდება რეალიზება, რაც შესაბამის თანხებს მოითხოვს. ფინანსები ორგანიზაციებს აძლევს იმის საშუალებას, რომ დანერგონ უახლესი ტექნოლოგიები, ჩაატარონ კვლევები და გაატარონ ღონისძიებები, რომელიც ახალი მიგნებებისთვის იქნება საჭირო. ორგანიზაციები ცდილობენ დაფინანსების გარე წყაროზე წვდომა ჰქონდეთ. ინოვაციური პროექტების დაფინანსების სხვადასხვა ინსტრუმენტები არსებობს. იმ კომპანიებისთვის, რომელიც ბაზარზე დებიუტანტები არიან რთულია დაფინანსების წყაროების მოძიება, იმიტომ რომ მათ არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება. ფინანსებზე წვდომა მჭიდროდაა დაკავშირებული კომპანიის განვითარების სტადიებსა და ინოვაციური პროექტების სპეციფიკაზე. ინოვაციური პროექტები საწყის ეტაპზე, როცა მიმდინარეობს კვლევები და ჯერ კიდევ გაურკვეველია რა სახის ინოვაცია შეიქმნება კიდევ უფრო რთულია დაფინანსების მიღება, თუმცა მომდევნო ეტაპზე, როცა უკვე შეიქმნება გარკვეული პროტოტიპი, ამ დროს მეტად მარტივია ინვესტორების დაინტერესება ისეთებს, როგორიც არიან ვენჩორული კაპიტალისტები ე.წ. „ბიზნეს ანგელოზები“. პროექტის დასკვნით ეტაპზე, როცა უკვე ყველაფერი დაზუსტებულია და პროგნოზების გაკეთება შეიძლება უკვე შესაძლებელი ხდება მიიღოს დაფინანსება ტრადიციული წყაროებიდან - შეღავათიანია საბანკო კრედიტის ან სახელმწიფო თანადაფინანსების სახით. (T. Mazzarol 2012)

მსხვილი კომპანიები მეტად განებივრებული არიან შესაძლებლობით, დააფინანსონ ინოვაციური საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საკუთარი ფინანსური სახსრებით. ეს შეიძლება იყოს: კრედიტით მიღებული სახსრები, საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული

ფულად სახსრები. ასევე ორგანიზაციებს შეუძლიათ ასეთი პროექტების დაფინანსება შიდა დაფინანსების წყაროებითაც. შიდა დაფინანსების ძირითად წყაროდ ითვლება გაუნაწილებელი მოგება. ფირმების უპირატესობა სწორედ დაფინანსების შიდა წყაროს ირჩევს, რადგან გარე დაფინანსების წყარო ხშირ შემთხვევაში ძვირი ჯდება (იხ. ნახ. 2.1)



ნახ. 2.1. ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების წყაროები

ინოვაციური პროექტების დაფინანსებისას აღსანიშნავია სახელმწიფოს მხარდაჭერის პროგრამები, რომელსაც ის არაპირდაპირი დაფინანსების მეთოდებით ახერხებს. მას შეუძლია გამოიყენოს საგადასახადო ინსტრუმენტები და შეღავათები საწარმოებისა თუ დარგებისთვის. სწორედ ინოვაციური დაფინანსების გარე წყაროს წარმოადგენს შეღავათიანი სახელმწიფო ან საბანკო კრედიტი.

ინოვაციური პროექტების დაფინანსებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ მდიდარ ინდივიდუალურ ინვესტორებს ე.წ. „ბიზნეს ანგელოზები“, რომლებიც რისკავენ საკუთარი კაპიტალით შესაბამისი მოგების მიღების მიზნით და შედეგად შეიქმნა არაერთი უახლესი გამოგონება. ბოლო პერიოდებში „ბიზნეს ანგელოზებმა“ შექმნეს ბიზნეს ქსელები, რადგან მარტივად მოძებნონ და დაუკავშირდნენ კომპანიები მათ. მათი ძირითადი მიზანია იპოვონ საინტერესო იდეების მქონე ფირმები და ისინი აქციონ ინოვაციურ კომპანიებად, რომლებსაც შემდგომში მაღალი შემოსავლების მოტანა შეუძლიათ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ „ბიზნეს-ანგელოზების“ როლი ინოვაციების შექმნის პროცესში და ისიც ვთქვით, რომ მათ უამრავ მნიშნველოვან გამოგონებას მისცეს დასაბამი. მაგალითად აღნიშნული საქმიანობის წყალობით დაფინანსდა: თ. ედისონის გამოგონება ელექტრო-ენერგეტიკის სფეროში, ასევე ა. ბელის კვლევითი სამუშაოები, რომელიც ტელეფონის შექმნას ეხებოდა. ასეთივე დაფინანსებით შეიქმნა ისეთი მძლავრი კომპანია როგორიცაა HP. (T. Mazzarol 2012)

ინოვაციების შექმნა რისკის გარეშე წარმოუდგენელია. ის პირდაპირ უკავშირდება დიდ რისკებს, რომელიც ინოვაციური პროექტების შედეგების წინასწარ გათვლაზეა დამოკიდებული. კომპანიები დიდი რაოდენობით რესურსებს იყენებენ იმისათვის რომ შეძლონ რისკების გარკვეულწილად მართვა და შედეგების წინასწარი გათვლა, თუმცა რასაკვირველია, მათი წინასწარი პროგნოზირება 100 პროცენტიანი შედეგით შეუძლებელია. კომპანიის მენეჯერები გამუდმებით ცდილობენ, რომ მინიმუმადე დაიყვანონ ინოვაციური პროექტის რისკი, სწორედ გადაწყვეტილებების მიღების დროს შესაძლებელია მათ მიიღონ არასწორი გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა პროექტის წარუმატებლობაზე იქონიოს გავლენა. შესაბამისად შეგვიძლია განვსაზღვროთ რომ ესა თუ ისე პროექტი, რომელიც კრახს განიცდის მისი ნეგატიური შედეგები მხოლოდ პროექტის ბრალი არარის. ის შეიძლერბა განპირობებული იყოს მენეჯერის არასწორი გადაწყვეტილებით ან დაგეგმვით. იმისათვის, რომ ასე არ მოხდეს აუცილებელია მენეჯერმა რისკების მართვისთვის შეიმუშაოს პრინციპი, რომელიც დაეხმარება მას დროული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების

მიღებაში. ინოვაციების მათვის პროცესში წარმოიშვება ხოლმე სხვადასხვა სახის რისკები და კრიტიკული ელემენტები, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მიმართულებებს:

1. მოსალოდნელი რისკისა და შემოსავლების შეფასებისთვის აუცილებელია ინოვაციური პროექტის განვითარება, რომელიც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცოდნის საფუძველზე.
2. ყველა ინოვაციურ პროექტს ახასიათებს დამაბრკოლებელი თავისებურებები, რომელიც გასათვალისწინებელია.
3. ინოვაციური პროექტის განხორციელების პერიოდში გამოვლენილი გაურკვევლობები.
4. ინოვაციურ პროექტთან დაკავშირებით მომხმარებლის ინფორმირება.
5. მნიშვნელოვანია ინოვაციური პროექტის ვიზუალური მხარე.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით კომპანიებს შეეძლებათ შედარებით ეფექტურად დაძლიონ ინოვაციური პროექტების განხორციელების წარმოშობილი და გაუთვალისწინებელი რისკები. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი იქნება პროექტის შემდგომი განვითარებისთვის. (მ. ბახტაძე 2019)

მართალია ინოვაციური პროცესების მართვა მენეჯერებისთვის ძალიან რთულია, მაგრამ აქვს რიგი უპირატესობები ტრადიციულ დაბალრისკიან საქმიანობასთან შედარებით, დაბალრისკიანი საქმიანობის დროს შესაძლებელია მენეჯერი მოდუნდეს, ხოლო ინოვაციური საქმიანობის დროს მას მოდუნების საშუალება არ ეძლევა რაც პოზიტიურად აისახება ხოლმე საბოლოო შედეგზე.

გარკვეულ ასპექტში უკვე ხაზი გავუსვით ტრადიციულ და ინოვაციურ კომპანიათა განსხვავებებს თუმცა საინტერესო იქნება რიგი განსხვავებების რომელიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 2.1): Булах Г.В. 2016)

ცხრილი 2.1.

შედარების ცხრილი: ტრადიციული და ინოვაციური ორგანიზაციები

	ტრადიციული ორგანიზაცია	**ინოვაციური ორგანიზაცია**
მიზნები და სტრატეგია	მოგების მიღება	დანახარჯების დაბრუნება მოკლევადიან პერიოდში ტექნოლოგიური ცვლილების მიჯნაზე
	ცვლილებების ადმი პასიური დამოკიდებულება	ცვლილებების შესაძლებლობა და სურვილი
	სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მატერიალური თუ სოციალური სიკეთის შემნის მიზნით	ინტენსიური, სტრატეგიული პარტნიორობა შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობა, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან
	კონკურენტული უპირატესობის მოპოვება კაპიტალისა და ფინანსური აქტივების ხარჯზე	კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციების ხარჯზე
	ძირითადად მატერიალური აქტივების ინვესტირება	მაღალი რისკის შემცველი მატერიალური და არამატერიალური აქტივების ინვესტირება
წარმოება და ტექნოლოგია	საქონლის დიდი ოდენობით წარმოება მასობრივი მოხმარების მიზნით. პატენტების ძალიან მცირე ოდენობა და იშვიათი გამოგონება	საქონლის შედარებით მცირე პარტიების წარმოება, უამრავი პატენტი და ლიცენზია. მუდმივი ინოვაციურობა.
	მაღალი მოთხოვნა კაპიტალზე	მაღალი მოთხოვნა სამეცნიერო ინტერვენციებზე
	მომავლის პროგნოზირების უნარი და შესაბამისი რეაგირების სწრაფად განხორციელება	მომავლის პროგნოზირების უნარი და შესაბამისი რეაგირების სწრაფად განხორციელება
	სპეციალიზებული საამქროები	ცვალებადი ტექნოლოგიური გარემო
	ხანგრძლივი პერიოდი ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი	ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტირება

	საწარმოო პროცესების ინტეგრაციის შეზღუდვა (ცალკეულ პროცესებზე ფოკუსირება)	საწარმოო პროცესების შერწყმა ინოვაციური პროდუქციის/მომსახურების შექმნის მიზნით
მომუშავე პერსონალი	იმ პერსონალთა სიმრავლე, რომელნიც უშუალოდ წარმოების პროცესში არიან ჩართული	იმ პერსონალთა სიმრავლე, რომელნიც ჩართული არიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და ცოდნის მოპოვებაზე არიან ორიენტირებულნი
	ინდივიდუალური მუშაობა	გუნდური მუშაობა
	პერსონალის დაბალი შემოქმედებითი უნარი და ხშირი დამოკიდებულება პრობლემის გადაჭრის დროს	პერსონალის მაღალი შემოქმედებითი უნარი და დამოუკიდებლობა პრობლემების გადაჭრის დროს
	კონკრეტული პროცესის გაუმჯობესებისათვის არასაკმარისი მომზადება და უნარები	პერსონალის მუდმივი სწრაფვა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და სწავლების გუნდური პრინციპი
	დისციპლინური პასუხისმგებლობა შეცდომების გამასწორებისათვის	შეცდომებზე სწავლა
ორგანიზაციული სტრუქტურა	ფოკუსირება - ორგანიზაციის ფუნქციებზე	ფოკუსირება - ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე
	იერარქიულობა, ვერტიკალური კავშირების დომინირება	ნაკლები იერარქიულობა, ჰორიზონტალური კავშირების დომინირება
	ფიქსირებული და სტრუქტურირებული ორგანიზაცია	ცვლილებების მაღალი დინამიკა და მოქნილი ორგანიზაცია
	მაღალი ცენტრალიზაცია	მაღალი დეცენტრალიზაცია
მენეჯმენტი	კონტროლზე ორიენტირებული მართვა	მხარდაჭერაზე ორინტირებული მართვა
	სტერეოტიპების შექმნა	სტერეოტიპების უარყოფა
	გადაწყვეტილების მიღება ინტუიციურად ფიქსირებულ პროცედურებზე დაყრდნობით	გადაწყვეტილების მიღება ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით
	მენეჯერთა ავტორიტარულობა	თანამშრომელთა ავტონომია მათი კომპეტენციების გათვალისწინებით
	გაურკვევლობის თავიდან აცილება	გაურკვევლობათა მიღება და მუდმივი დახვეწა/განვითარება

2.2. ინოვაციებში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა საქართველოში

ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ადამიანების წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება და მათი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილება. თანამედროვე მსოფლიო და გლობალიზაციური პროცესები სწორედ ამ მიზნის გარშემო ერთიანდება. ამ პროცესის მართვაში მნიშვნელოვანია ცალკეული ქვეყნების მოქალაქეების მონაწილეობა, რომლებმაც საკუთარ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა, მხარი დაუჭირონ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას, რაც მოიცავს სამეცნიერო-კვლევით პროგრეს, ეკონომიკის მდგრად განვითარებას და მის წარმატებულ ფუნქციონირებას.

წინა თავებში განვიხილეთ ინოვაციური მენეჯმენტის შედარებითი მონაცემები და ფაქტია, ნებისმიერი წარმატებული ინოვაციური პროექტი სასარგებლო და მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, იმ ქვეყნისთვის სადაც შეიქმნა ის. სწორედ ამიტომ მსოფლიოში შეინიშნება ტენდენცია, რომ ქვეყნები ცდილობენ ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვის კუთხით იმუშაონ, ადგილობრივ, რეგიონულ თუ სახელმწიფო დონეზე.

ბოლო პერიოდში ინოვაციურმა პოლიტიკამ დიდი ადგილი დაიკავა სხვადასხვა ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ინოვაციების ცნობადობის ამაღლების და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების საკითხში. ასეთივე ნაბიჯები იდგმება საქართველოშიც, რაც ვფიქრობ მისასალმებელია.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში საუბარია, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში ძირითადად განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის შიგნით მოპოვებულ რესურსებსა და სოფლი მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მთავარ მიზეზად კი განხილულია სწორედ ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციების დაბალი დონე. სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობის მთავარ ამოცანას ამ ეტაპზე წარმოადგენს ინოვაციური პროექტების, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და განვითარება, რაც

აღნიშნულია სტრატეგია 2020- ში. სტრატეგიაში საუბარია კერძო სექტორის განვითარებაზე, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, რომელიც დამყარებული იქნება კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობაზე, იზრდება სახელმწიფო დაფინანსებები. ამ კუთხით, ასევე მნიშვნელოვანია სხვა ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით. ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობასა და განვითარებას, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ქვეყანაში ინოვაციების მამოძრავებელი მთავარი ძალა არიან. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს მთავარობის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინოვაციების დონის ამაღლება, კომპანიების მიერ ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, სამეცნიერო მიღწევების და ბიზნესის კავშირების გამყარება და შედეგად უფრო მაღალტექნოლოგიურ საექსპორტო პროდუქციაზე ორიენტირება. (საქართველოს მთავრობის დადგენილება N400. 2014)

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დონის ასამაღლებლად დაგეგმილია შემდეგი განმახორციელებელი პოლიტიკის მიმართულებები:

- კვლევებისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და მათი კომერციალიზაციის ხელშეწყობა
- ინოვაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაძლიერება.
- ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა.
- თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია ცხრილი, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია ვიფიქროთ რომ ინოვაციური პოლიტიკის მიერ გადადგმული ნაბიჯები ეფექტურია და მუშაობს. (იხ. ცრილი 2.2)

საყურადღებოა კიდევ ერთი დოკუმენტი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება, რომლის მიხედვითაც განსაკუთრებული ყურადღება

ეთმობა კერძო სექტორს, კერძოდ კი მცირე და საშუალო საწარმოებს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში, გამოკვეთილია ისეთი საკითხები, როგორიცაა მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. ამ მიზნით 2016-2020 წლებისთვის საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგიაში მოცემულია შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. DCFTA - ის პერსპექტივების მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA - ის მოთხოვნებთან ადაპტაციაში.
3. მცირე და საშუალო საწარმოთა სტიმულირება.
4. მეწარმეობის მხარდაჭერა, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.
5. ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევების პოპულარიზაცია.
6. უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების მხარდაჭერა.

ცხრილი 2.2

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის მიზნები.

მაჩვენებლები	**საბაზისო**	**2017**	**2020**
ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი (KEI საქართველოს პოზიცია)	68	55	45
გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII საქართველოს პოზიცია	73	65	60
ფაქტობრივი მთლიანი მწარმოებლურობა (TPF %)	2.70	3.00	3.20
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (GLTL)	65	58	50[11]

აღნიშნული პრიორიტეტები მიმართულია იქით, რომ კომპანიებს დაეხმარონ ექსპორტის გაზრდაში, მოიზიდონ დამატებითი ინვესტიციები,

განაახლონ მიდგომები, დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური კულტურის ელემენტები, რაც დაეხმარებათ მათ გახდნენ კონკურენტუნარიანები.

ვფიქრობ მნიშნველოვანია ქვეყანაში შეიქმნას, ბიზნეს კვლევების ჩატარების დაფინანსების ცენტრი, რომელიც დამწყებ თუ მოქმედ ბიზნესებს საშუალებას მისცემს, ინოვაციურ პროექტებში ჩართვის უფრო დიდ შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს აღნიშნული პრიორიტეტების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების საკითხში. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრიორიტეტები ხელს შეუწყობს ინოვაციური მენეჯმენტის დამკვიდრებას, თანამედროვე მიდგომების დანერგვას და განვითარებას, რაც მომგებიანი იქნება, როგორც ბიზნესისათვის, ასევე სახელმწიფო სექტორისათვის.

თავი 3. ინვესტიციები ინოვაციებში, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი.

3.1 ინვესტიციები ინოვაციებში, მოზიდვის პრობლემები და მათი დაძლევის გზები

წინა თავებში ნაწილობრივ განვიხილეთ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და აღვნიშნეთ, რომ ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა უმნიშვნელოვანესი ადგილი, მაინც ინვესტიციების ზრდას უკავშირდება. ინვესტიცია შეიძლება იყოს შიდა ან საგარეო. მაგრამ ორივე შემთხვევაში ინვესტიციას ქმნიან დანაზოგები. იმისათვის, რომ დანაზოგები გაკეთდეს მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობას ჰქონდეს ისეთი შემოსავალი, რომლიც საკმარისი იქნება ფულის დაზოგვისთვის. საქართველოში სამწუხაროდ დანაზოგების დონე საკმაოდ დაბალია. შესაბამისად ისეთი ქვეყნის ეკონომიკისთვის, როგორიც ჩვენ ვართ, მნიშნველოვანია უცხოური დანაზოგების მოზიდვა, ანუ უცხოური ინვესტიციების შემოდინება. უცხოური ინვესტიციის ნაკადებს სწრაფადვე აქვთ დადებითი ეფექტი ქვეყნის ეკონომიკისთვის. მას ხშირ შემთხვევაში მოჰყვება შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, უახლესი ტექნოლოგიები და ცნობადობა. სწორედ ამიტომ დღეს ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან ინვესტიციების მოზიდვასა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. ინვესტიციების მოზიდვას ხელს უწყობს: სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, ბუნებრივ რესურსები, თავისუფალი ვაჭრობა, ეკონომიკის გახსნილობა და სხვა. (ბ. ნამჩავაძე 2017)

სამეცნიერო წრეებში, დღესდღეობით ლაპარაკი ინოვაციების შესახებ არის საკმაოდ აქტუალური. დიდწილად იგი დაკავშირებულია, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებთან, რომლებსაც გამოყავთ სხვადასხვა ინოვაცია ბიზნესში პირველ ადგილზე. ამჟამად, მოწინავე ქვეყნები აქცენტს აკეთებენ მაღალი ტექნოლოგიების განვითარებაზე. ინოვაციები წარმოებაში

დაკავშირებულია დანახარჯების შემცირებასთან, პროდუქციის (მომსახურების) გაუმჯობესებასთან, გაყიდვების ზრდასთან, კაცობრიობის გლობალურ პრობლემებთან და ა.შ. ყოველივე ეს უყენებს მაღალ მოთხოვნებს ინოვაციებს. გლობალიზაცია აფართოებს შესაძლებლობებს ბიზნესისათვის; ინვესტიციები, შრომითი რესურსები, ტექნოლოგიები და მასალები თავისუფლად გადაედინებიან ქვეყნიდან ქვეყანაში. ამასთან, იზრდება კონკურენციაც, ხოლო მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწორედ ინოვაციები. (А.В. Скворцов 2019)

ამასთან დაკავშირებით აქტუალურია, მცირე ბიზნესის განვითარების საკითხი. მისი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. თანამედროვე ეტაპზე განვითარებული ქვეყნები მიდიან კერძო მეწარმეობის მხარდაჭერის გზით, განსაკუთრებით წარმოების სფეროში. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის 80% შეადგენს შენატანებს მცირე ბიზნესიდან. (Спесивцев А. 2017)

ჩვენ განვიხილეთ უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაჩვენებლები წლების მიხედვით და მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვისაუბროთ, იმ უარყოფით ეფექტზე, რაც რუსეთის მიერ საქართველოზე განხორციელებულმა აგრესიამ და ომმა მოგვიტანა. შეიძლება ითქვას რომ საქართველოს ეკონომიკას ყველაზე დიდი ზარალი მაშინ მიადგა, მსოფლიო ეკონომიკური კრიზის ფონზე და მის შედეგებს დღესაც მოიმკის. როგორც ვთქვით ინვესტიციების მოზიდვის მხრივ აუცილებელია პოლიტიკური სტაბილურობა და იმ ფონზე რომ დღემდე ჩვენი ქვეყანა მუდმივი აგრესიის ქვეშაა, სტაბილურობაზე საუბარი რთულია.

ამის შემდეგ შეგვიძლია განვიხილოთ დემოკრატიის ხარისხის მხრივ არსებული პრობლემები. The Economist Intelligence Unit-ის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული დემოკრატიის ინდექსის ანგარიშის თანახმად, გასული წლის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის დონე 2018 წლის ქულასთან შედარებით 0.08 ქულით გაუარესდა და 5,42 შეადგინა, რითიც საქართველო „ჰიბრიდული რეჟიმის“ მქონე ქვეყნების სიას მიეკუთვნება, თუმცა კლების მიუხედავად საქართველომ რეიტინგში ისევ 89-ე ადგილი შეინარჩუნა.

მოგეხსენებათ, რომ რეიტინგში ქვეყნები 0-დან 10-მდე სკალაზე ფასდებიან. ე.წ. „ჰიბრიდულ რეჟიმს“ კი ჟურნალი The Economist შემდეგნაირად განმარტავს: ეს ნიშნავს, რომ არჩევნები ტარდება ხარვეზებით, მიმდინარეობს ოპოზიციის კანდიდატებზე ზეწოლა, ადგილი აქვს დაბალ პოლიტიკურ კულტურას, კორუფციას, კანონი სუსტია სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, ზეწოლაა მედიაზე და ასე შემდეგ (იხ. დიაგრამა 3.1.) (შ. ტყეშელაშვილი 2019)



წყარო: დიაგრამა შედგენილია დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო ინდექსის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.1. წლების მიხედვით დემოკრატიის ინდექსში საქართველოს სარეიტინგო ქულის ცვლილება

გრაფიკზე დაყრდნობით შეგვიძლია ნათლად დავინახოთ საქართველოს არასასიამოვნო რეგრესი დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით, რაც როგორც აღვნიშნეთ ინვესტიციების მოზიდვის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

ინვესტიციების მოზიდვის კიდევ ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დაბალი დონე, რომელიც ძალიან ბევრ კრიტერიუმს აერთიანებს, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხარისხს. საბედნიეროდ 2020 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული

Heritage Foundationis-ის კვლევის თანახმად საქართველოს ამ კომპონენტში დაწინაურდა და წინა წელთან შედარებით 4 პოზიციით გაიუმჯობესა რეიტინგი და მე-12 პოზიცია დაიკავა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ რეიტინგის 12 კომპონენტიდან 5 ისეთ კომპონენტში გაიუმჯობესა მდგომარეობა როგორიცაა: საკუთრების უფლება (68,6 ქულა, რაც საკუთრების უფლების ინდიკატორში უპრეცედენტო აღიარების მომტანი აღმოჩნდა ქვეყნისთვის.) მთავრობის სამართლიანობა (64.8 ქულა) საქართველოს ეფექტიანობა (57,9 ქულა მონეტარული თავისუფლება (78.3 ქულა) და ფისკალური თავისუფლება (94,4 ქულა). (Heritage Foundation 2020) (იხ. გრაფიკი 3.2, 3.3)



წყარო: დიაგრამა შედგენილია დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო ინდექსის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.2. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი



წყარო: დიაგრამა შედგენილია დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო ინდექსის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.3. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

გრაფიკებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ საქართველო სტაბილურად აგრძელებს წინსვლას პოზიტიური შედეგების მისაღებად.

კიდევ ერთი გარემოება, რაც საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე უარყოფითად მოქმედებს ეს არის განათლების დაბალი დონე, რაც კვალიფიკაციური სამუშაო ძალის დეფიციტში აისახება.

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარება სჭირდება. ამისათვის კი აუცილებელი ქვეყანაში, რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია შემოვიდეს, მნიშვნელოვანია, რომ ამ ინვესტიციას მოჰყვეს მაღალი ხარისხის ტექნოლოგიები და განათლება, რომელიც დაეხმარება ქვეყანას მიაღწიოს ეკონომიკური განვითარების თუნდაც ორ ციფრიან ნიშნულს იმისათვის, რომ სწრაფად შეიქმნას ეკონომიკის სტაბილურად განვითარების პირობები. ძალიან კარგია ის ფაქტი, რომ გვაქვს კარგი გეოგრაფიული მდებარეობა, გვაქვს რესურსები გავაძლიეროთ დემოკრატიული განვითარების ინდექსი, გვაქვს მზარდი ეკონომიკური განვითარების ინდექსი, ვმუშაობთ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ხარისხის ამაღლებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია ინოვაციური პროექტების

განხორციელების შესაძლებლობასთან. სასიხარულოა, რომ გვაქვს თავისუფალი სავაჭრო ზონა, ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი, საკმაოდ ლიბერალური საბაჟო რეჟიმი და ა.შ. გასაგებია, რომ რთულია მოგვარდეს საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და მისი ისტორიული საკუთრების დანაკლისთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გვაქვს ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებში, ეს იქნება: საკუთრების დაცვა, დემოკრატიის დონე თუ განათლება, გამოსწორებადია და დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებასა და საზოგადოების მონდომებაზე.

3.2. კვლევა: ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის

ეკონომიკური ზრდის ტემპები დაკავშირებულია ძირითადად ცვლილებების განუწყვეტლივ მატების ტემპებთან. იმისათვის, რომ ქვეყნის შიგნით მოქმედი ბიზნეს სუბიექტები დარჩნენ კონკურენტუნარიანები, მუდამ უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ინოვაციური აქტივობის მაღალი საფეხურები შეინარჩუნონ. ნებისმიერი სახის ინოვაცია კომპანიებისთვის ერთდროულად წარმოადგენს, როგორც სიცოცხლისუნარიანობის, ასევე მისი კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან საზომს.

ინოვაციური მენეჯმენტი პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის მთავრობის პოლიტიკასა და მიდგომებთან. იმისათვის, რომ ინოვაციამ თავისი ადგილი იპოვოს და განვითარების მაღალ ტემპებს მიაღწიოს ამისათვის სჭირდება ხელშეწყობა. სხვადასხვა ინსტიტუტებისა და მექანიზმების საშუალებით ხელი უნდა შეეწყოს ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებას, ტექნოლოგიების დანერგვას და პრაქტიკულ გამოყენებას. ცენტრალურ სახელისუფლებო თუ ადგილობრივ ორგანოებში სოციალურ-ეკონომიკურ გეგმებში განხილული უნდა იყოს ინოვაციური მიდგომები, როგორც პრიორიტეტი.

ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების გზაზე, ერთ-ერთი ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორია ინოვაციური ინფრასტრუქტურის

განუვითარებლობა, ასევე კვლევებსა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსებზე ხელმიუწვდომლობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის არაეფექტურობა, ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეუწყობლობა. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას პრობლემა ექმნება, როდესაც ეს საკითხები არ არის ქვეყანაში მოგვარებული.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის სტრატეგიაში, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სამი პრიორიტეტული მიმართულებიდან, საყურადღებოა ინოვაციები ტექნოლოგიებში. სტრატეგიაში ასახულია ინოვაციის და ტექნოლოგიების განვითარების დონის ასამაღლებლად განსახორციელებელი ნაბიჯები და ქმედებები. ასევე ხაზია გასმული ინოვაციის განვითარების მიმართულებებზე, რომლის პრობლემატურობაც აღვნიშნეთ. ამ მიმართულებებს წარმოადგენს: (სტრატეგიის „საქართველო 2020“)

- კვლევისა და განვითარებისთვის საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობა- პროგრამაში განხილულია ის ფაქტორი, რომ კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანია გაცილებით მეტი ფინანსები და დრო იხარჯებოდეს სამეცნიერო კვლევებზე.
- ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება- რომლიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინოვაციური მენეჯმენტის მშენებლობაში. დოკუმენტში საუბარია ისეთი ინფრასტრუქტურის შექმნაზე (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საინოვაციო ცენტრები), რომლებიც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროექტების დანერგვას და განვითარებას.
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერება- აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისად მთავრობა უზრუნველყოფს საკანონმდებლო ბაზის შექმნას და პრაქტიკაში დანერგვას „საქართველო ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების“ საფუძველზე.
- ეკონომიკაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა, რომელზეც ასევე

ყურადღებაა გამახვილებული და ხაზია გასმული, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დანერგვა და მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობა. ეს საფუძველი იქნება იმისთვის, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაიზარდოს ინტერესი ინოვაციური პროექტების განხორციელების მიმართ, რაც ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგან ინოვაცია სიახლესთან არის დაკავშირებული და ზოგადად ცნობილია, რომ ადამიანს სიახლის მიმართ შიშს განიცდის, ამიტომ ასე რომ არ მოხდეს აუცილებელია დროული და სწორი ინფორმირება მოსახლეობის.

- შემდეგ მიმართულებას, რაზეც დოკუმენტშია საუბარი ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მნიშვნელოვანია მთავრობის მხრიდან ასეთი ინვესტიციების შემოდინების წახალისება. იქიდან გამომდინარე რომ შესაძლებელი ხდება მოწინავე ქვეყნებიდან მოხდეს თანამედროვე და უახლესი ტექნოლოგიების შემოტანა, დანერგვა, რაც ვფიქრობ ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, ინოვაცია ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, ვინაიდან ის ქმნის კონკურენტუნარიან გარემოს და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სხვადასხვა ქვეყნებში ინოვაციების დონეს 2012 წლიდან ინოვაციის გლობალური ინდექსით ზომავენ და ყოველწლიურად კვლევა კორნელის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა INSEAD-ისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO)-ს ორგანიზებით მზადდება. (თ. დუდაური, ნ. სამჭკუაშვილი 2017)

ინოვაციების გლობალური ინდექსის მთავარ ამოცანას წარმოადგენს განისაზღვროს ის ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებასა და სამუშაო ადგილების ზრდას. ინოვაციის გლობალური ინდექსი შემდეგ 80 ინდიკატორს 7 ჯგუფში აერთიანებს და ესენია: (IDFI 2018)

- ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო).
- ადამიანური კაპიტალი და კვლევები (განათლება, კვლევა და განვითარება).
- ინფრასტრუქტურა (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები).
- ბიზნეს გარემო (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი).
- ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისთვის საჭირო კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა).
- ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება).
- შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

2018 წლის მონაცემებით ბოლო პერიოდში ინოვაციური ქვეყნების ათეულში ერთი და იგივე ქვეყნები შედიან. ეს ათეული ასე გამოიყურება:



წყარო: დიაგრამა შედგენილია ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3.3. ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10.

აღნიშნული კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოს, 2018 წლის მონაცემებით, ინოვაციების გლობალური ინდექსის მაჩვენებელი გახლავთ 35,05 ქულა და უკავია 59-ე ადგილი მსოფლიო რეიტინგში, თუმცა 2019 წლის მონაცემების დაყრდნობით პირველად ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგის ისტორიაში საქართველო ტოპ 50 ქვეყანას შორის მოხვდა და 48-ე ადგილი დაიკავა. აქვე უნდა აღინიშნოს რომ შეიცვალა ტოპ 10-ის რეიტინგიც და 2019 წლის მონაცემებით ის ასე გამოიყურება: პირველ ადგილს იკავებს კვლავ შვეიცარია 67,2 ქულით ხოლო მეორე ადგილზეა შვედეთი 63,7 ქულით შემდეგ მოდის აშშ, ნიდერლანდების სამეფო, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, დანია, სინგაპური, გერმანია და ისრაელი.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3.4. ინოვაციების გლობალური ინდექსი 2019

ამავე მონაცემებზე დაყრდნობით საქართველომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ რეიტინგში 48-ე ადგილი დაიკავა და გადაასწრო ისეთ მეზობელ ქვეყნებს, როგორიცაა: თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. მაგრამ ჯერჯერობით 2 პოზიციით ჩამორჩება რუსეთს და ერთი პოზიციით უკრაინას.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3.5. საქართველოს მეზობელი ქვეყნები ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში

საინტერესოა ასევე კვლევის შედეგები იმ ინდიკატორების მიხედვით, რომელთა საშუალებითაც საქართველომ 48-ე ადგილი დაიკავა ინოვაციების რეიტინგში. 2019 წლის მონაცემებით საქართველოს სარეიტინგო ქულები შემდეგნაირად გამოიყურება: (Global Innovation Index 2019)

ცხრილი 3.1

ინოვაციების გლობალური ინდექსის ინდიკატორები

ინდიკატორები	**ადგილი რეიტინგში**	**ქულა**
ინსტიტუტები	36	74,3
ადამიანური კაპიტალი და კვლევები	63	30,6
ინფრასტრუქტურა	72	44,7
ბიზნეს გარემო	15	62,1
ბიზნესის განვითარების დონე	70	29,5
ცოდნა და ტექნოლოგიები	62	22,5
შემოქმედებითობა	58	29,1

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი და 2019 წლის მონაცემები შევადაროთ 2018 წლის მონაცემებს. შედეგად ჩვენ დავინახავთ სარეიტინგო 48-ე ადგილი, რომელი კომპონენტების გაუმჯობესების ხარჯზე იქნა მიღწეული. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს შედარებით ძლიერი მხარე ბიზნეს გარემოს სიძლიერე წარმოადგენს რადგან, რაც შესაბამისად კრედიტის აღების სიმარტივეს, ინვესტიციებს, ვაჭრობას და კონკურენციას გულისხმობს. აღსანიშნავია ბიზნესის გარემოს განვითარებისა და შემოქმედებითობის მაჩვენებლები (91 დან 70-ე ადგილზე გადანაცვლება და 73 დან 58-ე ადგილზე), რომელიც თავის მხრივ დასაქმებულთა ცოდნის დონეს, ინოვაციისთვის საჭირო კავშირების არსებობას, ცოდნის მიღების შესაძლებლობას, არამატერიალური აქტივების, შემოქმედებითი პროდუქტისა და მომსახურება, ასევე ელექტრონულ შემოქმედებითობას გულისხმობს. (იხ. გრაფიკი 3.6)

საქართველომ 5 პოზიციით დაიხია უკან და 57 დან 62-ე ადგილზე გადაინაცვლა. ეს არის კომპონენტი, რომელიც ცოდნის შექმნას, ცოდნის გავლენას ინოვაციების შექმნის პროცესში და ცოდნის გავრცელებას გულისხმობს. შედარებით ცუდი მაჩვენებელი აქვს ინფრასტრუქტურის კომპონენტში. გაუმჯობესების ნაცვლად გვაქვს გაუარესება და ერთი პოზიციით უკან გადასვლა. ეს კომპონენტი მოიცავს: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობას.



წყარო: დიაგრამა შედგენილია ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3.6. გლობალური ინდექსის კომპონენტების სარეიტინგო ქულის ცვლილება დროში.

საინტერესოა დინამიკა, რომელიც აქვს საქართველოს 2013 წლიდან დღემდე ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში. (იხ. გრაფიკი 3.7)



წყარო: დიაგრამა შედგენილია ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 3.7. გლობალური ინოვაციების ინდექსში საქართველოს ადგილი რიგითობის მიხედვით

გრაფიკზე კარგად ჩანს, რომ რეიტინგში ბოლო წლებში უწყვეტი პროგრესი არ გაგრძელებულა. 2017 წლის შემთხვევაში 2016 წელთან შედარებით საქართველომ 4 პოზიციით უკან გადაინაცვლა. (64 დან 68-ე ზე) თუმცა 2018 და 2019 წლის მონაცემების საფუძველზე აშკარაა პროგრესირების დადებითი მაჩვენებლები, რაც ამ კუთხით მომავლის ოპტიმისტური განჭვრეტის საფუძველს იძლევა.

საერთაშორისო რეიტინგები და მონაცემები საკმაოდ კარგი საფუძველია იმისათვის, რომ ქვეყნის განვითარების მიმართულებასა და დინამიკაზე სასაუბროდ, თუმცა ვფიქრობ მეტად მნიშვნელოვანია ის მიდგომები ამ კუთხით, რომელიც საქართველოს შიგნით ქვეყნის მოსახლეობას აქვს. ჩემი კვლევის საგანს, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა ინოვაციების მნიშვნელობის არსი ქართულ რეალობაში. ამისათვის ჩავატარე კვლევა, რომელიც 81 ადამიანს მოიცავდა, თუმცა სეგმენტს ერთგვარად ახალგაზრდები წარმოადგენდნენ. ჩემთვის საინტერესო გახდა მათი დამოკიდებულება ინოვაციურ მენეჯმენტის

განვითარების საკითხებზე. კვლევის შედეგები საკმაოდ დამაიმედებელი აღმოჩნდა ამ საქმიანობის წარმართვის კუთხით.

ჩემთვის საინტერესო იყო გამეგო მათი აზრი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომები საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისთვის (იხ. დიაგრამა 3.8).

წყარო. დიაგრამა დამუშავებულია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.8. რამდენად მნიშვნელოვანია ინოვაციური მიდგომები საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის

რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგების თანახმად ახალგაზრდების უმრავლესობა იაზრებს ინოვაციური მიდგომების დანერგვის აუცილებლობას და მის უშუალო კავშირს ეკონომიკის ზრდასთან, რაც თავის მხრივ მომავლის ოპტიმისტური თვალით შეხედვის საშუალებას იძლევა.

კითხვაზე ფიქრობთ თუ არა, რომ ეკონომიკის ზრდის საკვანძო ფაქტორი არის ინვესტიციები ინოვაციებში. გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესმა ნაწილმა 96,3%-მა განცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის ზრდის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციები ინოვაციებში. მხოლოდ, რესპოდენტთა უმნიშვნელო რაოდენობა 3,7%-ი იყო საწინააღმდეგო შეხედულების (იხ. დიაგრამა 3.9).



წყარო. დიაგრამა დამუშავებულია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.9. ინვესტიციები ინოვაციებში, ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა ეს არის ხარჯები, რომელიც შესაძლებელია ქართულმა ორგანიზაციებმა გაიღონ ინოვაციური მენეჯმენტის მიმართულებით. მოგეხსენებათ, რომ ხარჯი ყველა ორგანიზაციისთვის საკმაოდ რთულ ფაქტორს წარმოადგენს, მითუმეტეს როცა ეს ეხება ისეთ ხარჯს, რომლის დანიშნულებასაც რიგ შემთხვევებში ვერც კი ხვდებიან. ჩემი კვლევის სეგმენტის უმრავლესობა კარგად იაზრებს, ინოვაციებზე გასაწევი ხარჯების მნიშვნელობას. ერთგვარ ინვესტიციას ინოვაციებზე, რომელიც მომავალში დიდი მოგების მიღების და განვითარების შესაძლებლობას იძლევა (იხ. დიაგრამა 3.10).

აღნიშნული კვლევა ცხადჰყოფს ახალგაზრდების მზაობას ეკონომიკური ზრდისთვის ინოვაციური საქმიანობის წინა პლანზე წამოწევას და ამისათვის მათ ხარჯებიც არ დაენანებოდათ. ეს ლოგიკურიცაა, ინოვაციების ეპოქაში ვცხოვრობთ და ცხადია მათი შესაძლებლობები კაცობრიობის კეთილდღეობის ზრდაში. ძალიან კარგია ასეთი ტენდეცია და მოსახლეობის მზაობა, თუმცა ამასთან მნიშვნელოვანია, როგორც უკვე აღვნიშნეთ მზაობა, პოლიტიკური ნება და ხელშეწყობა იყოს სახელმწიფოს მხრიდან.



წყარო. დიაგრამა დამუშავებულია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.10. ხარჯების ხვედრითი წილი ინოვაციების დანერგვა/განვითარებისთვის.



წყარო. დიაგრამა დამუშავებულია ავტორის მიერ, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 3.11. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები დარგების მიხედვით.

კვლევის შედეგად ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების თვალსაზრისით გამოიკვეთა ყველაზე პერსპექტიული დარგები - სოფლის

მეურნეობა და ტურიზმი. აღსანიშნავია სხვა დარგებიც, რომლებიც გამოიკვეთა და რესპონდენტები თვლიან. რომ არის პერსპექტივები და სჭირდება მეტი მხარდაჭერა, ხელშეწყობა იმისათვის, რომ დაინერგოს და განვითარდეს. ეს პროცესები კი შესაბამისად შეუწყობენ ხელს ქვეყნის ეკონომიკისა და კეთილდღეობის ზრდას (იხ. დიაგრამა 3.11).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 2014 წელს შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, 2015 წელს შეიქმნა კვლევებისა და ინვესტიციების საბჭო, ასევე რეგიონებში ჩამოყალიბდა ინოვაციური პროექტების ხელშემწყობი ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებას საქართველოში მაინც ქაოტური ხასიათი აქვს და ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი. (თ. დუდაური, ნ. სამჭკუაშვილი 2017)

3.3 ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის, როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორის პერსპექტივები საქართველოში

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ყოველდღიურად ვითარდება ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები. ამას ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევები და ასევე ის არსებული რესურსები, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებობს.

ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ისეთი ქვეყნის მაგალითი, რომლებიც ყოველდღიურად ებრძვიან უწყლობას, შიმშილს. ასეთია აფრიკის არაერთი ქვეყანა, სადაც დღემდე იბრძვის ადამიანთა უმეტესობა საკვების და წყლის მოსაპოვებლად. დღესდღეობით ასეთი პრობლემების ყველაზე ეფექტურად დაძლევის გზას წარმოადგენს ინოვაციური მენეჯმენტის განვითარება, სწორედ მას შეუძლია დააპუროს და მიაწოდოს არსებობისთვის საჭირო წყალი მოსახლეობას. გამომდინარე იქიდან რომ ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი არ გახლავთ მხოლოდ მატერიალური შედეგების მიღება ან/და მეცნიერულ-ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს სოციალური ეფექტი, რომელიც სოციუმს კეთილდღეობას მოუტანს.

უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი ინოვაციებში არის სპეციალიზაცია შესაბამის დარგში. თუ შევხედავთ მსოფლიოს მაშინ დავინახავთ, რომ ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი ინოვაციური პროდუქტი და მომსახურება იქმნება იქ სადაც მაღალია პროფესიონალიზმის დონე. ესენი არიან განვითარებული ქვეყნები, რომლებშიც ცხოვრობენ მაღალი განათლების დონის მქონე სპეციალისტები, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს წარმოშობას, სადაც როგორც წესი ჩნდება და იბადება გენიალური იდეები.

ძლიერი გლობალური კონკურენციის პირობებში სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო პირდაპირ არის დაკავშირებული მწარმოებლობაზე, რაც ზეგავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დანაზოგები ქმნიან ინვესტიციებს და შესაბამისად აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა.

საინვესტიციო გარემო არის იმ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ინვესტორზე, ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ ფაქტორების ქვეშ, შესაბამისად, მოიაზრება: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა, საკანონმდებლო ბაზა, ბიზნესის კეთების სიმარტივე, თავისუფალი სასამართლო ხელისუფლება და ა.შ. აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას, ინფლაციას, დასაქმების მაჩვენებლებს და სხვა.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა სხვადასხვა რეგიონებს ეკონომიკების გზაჯვარედინად აქცევს. ის არის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი ევროპასა და აზიას შორის, რაც მას შესაძლებლობას აძლევს იქცეს ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საინვესტიციო ქვეყნად, რა თქმა უნდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში.

საქართველოში პოსტკომუნისტური გარდატეხის დაწყებისთანავე ქვეყანაში გაჩნდა ახალი გამოწვევები, რომელსაც სჭირდებოდა მოქალაქეთა დროულ ადაპტაცია, ვინაიდან სწორედ მოსახლეობაში იქმნება დოვლათი, რაზეც

მეტწილად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე. საქართველოში ამ მხრივ 1990 იან წლებში ძალიან დიდი პრობლემები შეიქმენა. იმ დროს მოღვაწე მენეჯერები დიდი გაურკვევლობის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ დატოვეს თავიანთი პროფესიები და თავის გადასარჩენად სხვა საქმიანობებს მიჰყვეს ხელი. სწორედ ამ პერიოდში დაკარგა საქართველომ მრავალი ფიზიკოსი, ქიმიკოსი თუ სხვა დარგის სპეციალისტი, თუმცა მდგომარეობა მკვეთრად იცვლება 90-იანი წლების მიწურულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. მეტნაკლებად მოხდა ყოველდღიური ცხოვრების დასტაბილურება. გაჩნდა მომავლის პერსპექტივები ისეთ დარგებში, როგორიცაა ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. განხორციელდა ინსტიტუციონალური რეფორმები, დაიხვეწა ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა. რის შემდეგაც მივიღეთ პროდასავლური განვითარების ქვეყანა, რომელსაც გეოპოლიტიკური მდებარეობის გარდა სხვა მნიშვნელოვანი ბერკეტებიც გაუჩნდა დასავლური განვითარების და მისწრაფების სახით. (მ. ბახტაძე 2019)

საქართველოს საინვესტიციო გარემომ გაუმჯობესება და გამოცოცხლება 2004 წლიდან დაიწყო, როდესაც მოხდა ძირეული რეფორმები. მაგალითად ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით, რომელმაც აღმოფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შეამცირა საგადასახადო ტვირთი. ამასთან ერთად აღსანიშნავია რიგი უპირატესობები რომელიც საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას ზრდის. ესენი შეიძლება იყოს: დაბალი გადასახადები, სამართლიანი და მარტივი საგადასახადო ადმინისტირება, ბიზნესის მხარდაჭერა, სტაბილური საბანკო სექტორი, ვაჭრობის თავისუფლება ეს იქნება სახმელეთო საზღვაო თუ საჰაერო წვდომით, ეკონომიკის გახსნილობა და ა.შ. მნიშვნელოვანია მიღწეული წარმატება ბიზნესის კეთების მხრივ რაშიც, საქართველომ 2020 წლის ანგარიშის მიხედვით მე-7 ადგილი დაიკავა. ასევე გაუმჯობესებულია ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: ინვესტორთა უფლებების დაცვა, კონტრაქტების აღსრულება, გადასახადების გადახდა და ა.შ. მნიშვნელოვანია ასევე საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (DCFTA) ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ, რომლის

ფარგლებშიც განხორციელებულმა ღონისძიებებმა კერძოდ: საბაჟო კანონმდებლობის დაახლოებამ ევროკავშირის კანონმდებლობასთან, შემცირებულმა ცვლილებებმა საგადასახადო კოდექსში, კიდევ უფრო ხელი შეუწყო ინვესტორების დაინტერესებას და მათთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას. (World Bank Group 2020)

ყველა ეს პროცესი ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვის მიმზიდველობას, ამ პროცესებიდან მინდა გამოვყო ინოვაციური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკისთვის და ამ მიმართულებით მუშაობის შესაძლებლობები. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ინოვაციების ბაზარზე გამოჩენამ განაპირობა საწარმოო, ტექნიკური, ინტელექტუალური და კომერციული საქმიანობის უკეთ განხორციელების შესაძლებლობა. ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი ქვეყანა მიისწრაფის იქით, რომ ქვეყანაში ჰყავდეს ბევრი ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მუდამ სრულყოფისა და განვითარებისაკენ მიისწრაფის, ხოლო ამის უზრუნველყოფა კი სწორედ ინოვაციური მენეჯმენტის დახმარებითაა შესაძლებელი.

საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა-განვითარება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის და მატერიალური დოვლათის შექმნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ოპტიმიზმით სავსე დამოკიდებულებით და მასში ჩართული უნდა იყოს სამთავრობო უწყება თუ სამოქალაქო სექტორი. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხელმძღვანელმა იზრუნოს მასზე დაქვემდებარებული პერსონალის განვითარებაზე ინოვაციური კუთხით. გაუჩინონ მათ ინტერესი ახალი და პროდუქტიული საქონლისა თუ მომსახურების შექმნისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი იდეების გავრცელების არეალი არ შევზღუდოთ. უნდა განვითარდეს მომსახურების სფერო, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, მედიცინა და სხვა დარგები და რაც მთავარია ეს უნდა მოხდეს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით და ინოვაციური ცოდნის გაღრმავებით.

თავის მხრივ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უნდა იყოს აღნიშნული ცოდნის მისაღებად ინფრასტრუქტურის მოწყობა, სივრცეების შექმნა, სადაც

ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა იდეა რეალობად აქციონ. ასეთ სივრცეს წარმოადგენს ე.წ ფაბლაბი, რომელიც არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის, ვისაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება ან სტარტაპის ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას. საქართველოში პირველი ასეთი ლაბორატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა და დღეს უკვე საქართველოს მასშტაბით 22 ლაბორატორიაა ამოქმედებული. გარდა ამისა გაიცემა გრანტები, რომელიც ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომას, რაც კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგალითად: პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, რომელიც გამიზნულია პირდაპირ ინოვაციური პროექტის დასაფინანსებლად, თუ რა თქმა უნდა ბენეფიციარი დაიმსახურებს მას კონკურსის გავლის შემდგომ. (მ. ბატიაშვილი 2018)

როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით მრავალი ისეთი პროგრამაა ამოქმედებული, რომელიც სწორედ, რომ ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ეს ძალიან სწორი პოლიტიკაა თუ გავითვალისწინებთ ინოვაციების სარგებლიანობას, როგორც საზოგადოებისთვის, ისე ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით. ინოვაციები ბიზნესებს საშუალებას აძლევს შეამციროს დანახარჯები, მოიზიდოს და დააინტერესოს მომხმარებელი და გაზარდოს მწარმოებლურობა, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან, რადგან მწარმოებლურობის გაზრდა ნიშნავს მთლიანი შიდას პროდუქტის ზრდას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. თუკი ჩვენ შევძლებთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ჩვენივე რესურსებით და არ ვიქნებით დამოკიდებული იმპორტირებულ პროდუქციაზე, მაშინ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა საგრძნობლად გაიზრდება. ინოვაციურ ბიზნესს შეუძლია ასევე შემოგვთავაზოს მაღალი ხარისხის პროდუქტი და მომსახურება, რომელიც შეძლებს დააკმაყოფილოს მაღალი სტანდარტები და გასცილდეს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს

გარეთ, რაც ასევე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

გარდა ამისა, დღესდღეობით მრავალი ინვესტორია დაინტერესებული ინოვაციებში კაპიტალდაბანდებით, ქვეყნებში ტარდება სხვადასხვა საგრანტო პროგრამები რომელთა მიზანიცაა აღმოაჩინოს და ხელი შეუწყოს ინოვაციურ ბიზნესებს განვითარებაში ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა „თანადაფინანსების ინოვაციების გრანტების პროგრამა“, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 2019 წლის 22 მაისს გაიხსნა და აქტიურად ფუნქციონირებს. (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო 2019)

ჩვენს ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს. მას აქვს როგორც ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით განვითარების შესაძლებლობა ,ასევე გვაქვს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების დიდი შესაძლებლობა, გვაქვს კარგი სასოფლო სამეურნეო სავარგულები და ა.შ. გვაქვს ქვეყანა, რომელსაც მოფრთხილება სჭირდება, განვითარება, განათლება, მაღალი თვითშეგნება, მეტი წარმატებული ახალგაზრდა და ქვეყნის გულშემატკივარი ადამიანი სჭირდება. მაშინ კი შევქმნით ინოვაციებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში საკვანძო ფაქტორი გახდება.

დასკვნა

დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და კორონავირუსის პანდემიის პირობებში ქვეყანაში ინოვაციების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლის, ინოვაციური პროექტების დაფინანსების თავისებურებების გაანალიზების, საქართველოსათვის ინოვაციებში ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობისა და თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის, ასევე ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საფიქრალი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა და მისი შენარჩუნებაა. ეკონომიკური ზრდა პირდაპირაა დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან. სხავადასხვა ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპები აქვთ. გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებამ მსოფლიოში მკვეთრი ცვლილები გამოიწვია რამაც მკაფიოდ გამოკვეთა ეკონომიკური განვითარების ახალი ტენდეციები. ეს ცვლილებები მსოფლო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობს განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის.

2. საინვესტიციო საქმიანობისა და მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის ურთიერთკავშირს გააჩნია რამდენიმე ასპექტი. რომელთაგან უმნიშვნელოვანეს წარმოადგენს ინვესტიციების განხილვა, როგორც მეცნიერული კვლევების კატალიზატორისა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერების საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პირობებში. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნეს ფორმირებული ინოვაციების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც შექმნის პირობებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისათვის.

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასოცირდება არა მარტო ფინანსური კაპიტალის შემოდინებასთან, რომელიც მიმღებ ქვეყანაში შემოდის, არამედ ეს არის ინსტრუმენტი, რომელსაც ქვეყანაში შემოაქვს: ინოვაციები, ცოდნა, ინტელექტი, მართვის თანამედროვე პრაქტიკა, პროდუქციის დიზაინი, ხარისხის მაჩვენებლები, ბრენდი და ა.შ. შესაბამისად ეს ხელს უწყობს ქვეყნის გლობალური წარმოების ქსელში ინტეგრაციას, ცნობადობას და შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეს წარმატებული საექსპორტო სტრატეგიები და განავითაროს ინოვაციური ეკონომიკა.

4. მარტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როდი განსაზღვრავენ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ინვესტირების ისეთი ფორმები, როგორიცაა: შიდა ინვესტიციები, უცხოური პორტფელური ინვესტიციები და ასევე ინვესტიციები, რომელიც ინოვაციებშია დაბანდებული. ინვესტიციები ინოვაციებში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრისკიანი ინვესტიციაა, თუმცა მომგებიანობის და სარგებლიანობის მხრივ, ერთ-ერთი მაღალშემოსავლიანია. ასევე ინოვაციები განხილული უნდა იქნას, როგორც ქვეყნის წარმატების საკვანძო ფაქტორი.

5. აღსანიშნავი ფაქტია ისიც რომ მსხვილი საწარმოები უფრო მეტად და ხშირად ახორციელებენ ინვესტიციებს ინოვაციურ აქტივობებში ვიდრე მცირე ფირმები. ფირმის გადაწყვეტილება, რომ ინვესტიცია განახორციელონ ინოვაციებში იზრდება მისი ზომის, საბაზრო წილის, მოთხოვნის ზრდის და ტექნოლოგიების განვითარების მამოძრავებელი ძალების შემთხვევაში. არაერთხელ ჩატარებული კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებს ეფუძნება გვიჩვენებს, რომ ევროპულ კომპანიებში ფირმის ფუნქციონირების და მწარმოებლურობის მაღალი დონე სწორედ რომ ტექნოლოგიური ინოვაციების შედეგია. ინოვაციებს კი ის ფირმები ავითარებენ უფრო მეტად, რომლებიც არ იშურებენ რესურსებს კვლევა-განვითარებაში ინვესტიციების დასაბანდებლად.

6. მნიშნველოვანია ქვეყანაში შეიქმნას, ბიზნეს კვლევების ჩატარების დაფინანსების ცენტრი, რომელიც დამწყებ თუ მოქმედ ბიზნესებს საშუალებას

მისცემს, ინოვაციურ პროექტებში ჩართვის უფრო დიდ შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს აღნიშნული პრიორიტეტების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების საკითხში. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრიორიტეტები ხელს შეუწყობს ინოვაციური მენეჯმენტის დამკვიდრებას, თანამედროვე მიდგომების დანერგვას და განვითარებას, რაც მომგებიანი იქნება, როგორც ბიზნესისათვის, ასევე სახელმწიფო სექტორისათვის.

7. ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველოს, 2018 წლის მონაცემებით, აქვს 35,05 ქულა და უკავია 59-ე ადგილი მსოფლიო რეიტინგში, თუმცა 2019 წლის მონაცემების დაყრდნობით პირველად ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგის ისტორიაში საქართველო ტოპ 50 ქვეყანას შორის მოხვდა და 48-ე ადგილი დაიკავა.

8. ინოვაციების გლობალური ინდექსის მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ ანალიზი და 2019 წლის მონაცემები შევადაროთ 2018 წლის მონაცემებს. შედეგად ჩვენ დავინახავთ სარეიტინგო 48-ე ადგილი, რომელი კომპონენტების გაუმჯობესების ხარჯზე იქნა მიღწეული. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ რომ საქართველოს შედარებით ძლიერი მხარე ბიზნეს გარემოს სიძლიერე წარმოადგენს რადგან, რაც შესაბამისად კრედიტის აღების სიმარტივეს, ინვესტიციებს, ვაჭრობას და კონკურენციას გულისხმობს. აღსანიშნავია ბიზნესის გარემოს განვითარებისა და შემოქმედებითობის მაჩვენებლები (91 დან 70-ე ადგილზე გადანაცვლება და 73 დან 58-ე ადგილზე), რომელიც თავის მხრივ დასაქმებულთა ცოდნის დონეს, ინოვაციისთვის საჭირო კავშირების არსებობას, ცოდნის მიღების შესაძლებლობას, არამატერიალური აქტივების, შემოქმედებითი პროდუქტისა და მომსახურება, ასევე ელექტრონულ შემოქმედებითობას გულისხმობს.

9. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროცესში ინვესტიციების ინოვაციებში მოზიდვის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. კვლევა ეფუძნებოდა რესპოდენტების გამოკითხვას, ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის საფუძველზე. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 80 რესპოდენტმა. მათ შორის უდიდესი სეგმენტი წარმოადგენდა

ახლგაზრდებს. საინტერესო იყო მათი დამოკიდებულება ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების საკითხებზე. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ რესპოდენტთა უდიდესი ნაწილი (98,8%) თვლიდა ინოვაციურ მიდგომებს მნიშვნელოვანს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო 96,3%-ის აზრით კი ინოვაციები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორს. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმ ფაქტის გარკვევა, თუ რესპოდენტების აზრით კომპანიებმა ინოვაციების დანერგვა განვითარებისათვის შემოსავლების რა ნაწილი უნდა დახარჯოს, აღმოჩნდა, რომ რესპოდენტების 38.3%-ი ფიქრობს, რომ ასეთი სახის ხარჯები უნდა შეადგენდნენ შემოსავლების 20%-ძე მეტს, ხოლო 42%-ის აზრით კი 11-დან 15%-მდე.

10. აღნიშნული კვლევა ცხადჰყოფს ახალგაზრდების მზაობას ეკონომიკური ზრდისთვის ინოვაციური საქმიანობის წინა პლანზე წამოწევას და ამისათვის მათ ხარჯებიც არ დაენანებოდათ. ეს ლოგიკურიცაა, ინოვაციების ეპოქაში ვცხოვრობთ და ცხადია მათი შესაძლებლობები კაცობრიობის კეთილდღეობის ზრდაში. ძალიან კარგია ასეთი ტენდეცია და მოსახლეობის მზაობა, თუმცა ამასთან მნიშვნელოვანია, როგორც უკვე აღვნიშნეთ მზაობა, პოლიტიკური ნება და ხელშეწყობა იყოს სახელმწიფოს მხრიდან.

11. თავის მხრივ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან უნდა იყოს აღნიშნული ცოდნის მისაღებად ინფრასტრუქტურის მოწყობა, სივრცეების შექმნა, სადაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა იდეა რეალობად აქციონ. ასეთ სივრცეს წარმოადგენს ე.წ ფაბლაბი, რომელიც არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის ვისაც აქვს იდეა და სურს მისი განხორციელება ან სტარტაპის ბიზნესად ჩამოყალიბება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ის მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე და ხელს უწყობს იდეების გენერირებას. საქართველოში პირველი ასეთი ლაბორატორია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა და დღეს უკვე საქართველოს მასშტაბით 22 ლაბორატორიაა ამოქმედებული. გარდა ამისა გაიცემა გრანტები, რომელიც ხელს უწყობს ფინანსებზე წვდომას, რაც კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგალითად:

პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, რომელიც გამიზნულია პირდაპირ ინოვაციური პროექტის დასაფინანსებლად, თუ რა თქმა უნდა ბენეფიციარი დაიმსახურებს მას კონკურსის გავლის შემდგომ.

12. აღნიშნული კვლევების და მონაცემების საფუძველზე, მე როგორც მკვლევარს შემექმნა შთაბეჭდილება, რომ გვაქვს კარგი ტენდეცია ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების კუთხით, გვაქვს მიღწევები, მონდომება და მართალია ნელი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც მივდივართ კარგი შედეგებისკენ. ამასთან რეკომენდაციის სახით მნიშვნელოვანია განათლების დონის, ხარისხობრივი ამაღლება. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ცნობიერებაში მკაფიოდ გამოიხატოს ინოვაციური მენეჯმენტის შედეგების დადებითი ასპექტები. არ ჰქონდეთ მათ სიახლის შიში, პირიქით გაუჩნდეთ ინტერესი, რომ თავად სცადონ, დანერგონ, გაიღონ ხარჯები იმისათვის, რომ შეიქმნას კვლევითი ცენტები. უფრო მეტიც თითოეული ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს გამოყოს ხარჯები რათა შექმნას კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი, რომელიც მთლიანად გადართული იქნება სიახლეების მოძიებასა და დანერგვაზე. სწორედ ეს მიდგომები და ტენდეციები შექმნის ჩვენს ქვეყანას ინოვაციურ, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოს, რომელიც ინოვაციურობის კუთხითაც, ისევე როგორც არაერთ დარგში ვართ მოწინავეები, გახდება ერთ-ერთი სამაგალითო, როგორც სიახლის მოყვარული ქვეყანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი მ. ადგილი, სადაც ახალი ბიზნესი დაიბადება. Forbes. 2018. https://forbes.ge/news/186/adgili,-sadac-axali-biznesi-daibadeba
2. ბახტაძე მ. ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. დისერტაცია. ბათუმი 2019. გვ. 11-12 https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_12757_2.pdf
3. ბაქრაძე ვ. ინვესტიციების როლი ეკონომიკის განვითარებაში. თბ. 2019. გვ. 20. https://openscience.ge/bitstream/1/629/1/samagistro%20barbaqadze%20viqtoria.pdf
4. გეგეშიძე ე. მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა. დისერტაცია. თბ. 2010. (გვ. 10) 2019 გვ. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000404/Gegeshidze.%20E%2B%2B.pdf
5. დუდაური თ., სამჭკუაშვილი ნ. ინოვაციური ეკონომიკა: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი 3-4 ნოემბერი, 2017. კონფერენციის შრომათა კრებული გვ. 164-168. http://eprints.tsu.ge/1441/1/Innovative%20economy%20-%20problems%20and%20perspectives%20of%20development.pdf
6. ინოვაციები და ინოვაციების მართვის კონცეფცია. The Innovation Times. 2016. https://intimes.wordpress.com/2016/10/04/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%AA/

7. ინოვაციები და საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატება. USAID. თბ. 27აპრილი 2020. https://www.usaid.gov/ka/georgia/news-information/news/georgian-agriculture-innovation-will-drive-success
8. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI. 2018 წლის ინოვაციის გლობალურ ინდექსში საქართველო 2017 წელთან შედარებით 9 პოზიციით დაწინაურდა. 20 ივლისი 2018. https://idfi.ge/ge/global_innovation_index_2018_georgia
9. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლები 2013წ. გვ. 16-20. https://el.ge/articles/1227
10. ნამჩავაძე ბ. რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს? Forbes Georgia 2017წ.-https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი"-ს 2020 წლის კვლევის მიხედვით საქართველო მსოფლიო რეიტინგში დაწინაურდა. http://www.economy.ge/?page=news&nw=1450
12. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. 650 000-ლარიანი გრანტები ინოვაციების მიმართულებით. თბ. 2019. https://grants.gov.ge/ka/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90
13. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. საქართველოში გლობალური ინოვაციების ცენტრის გახსნისთვის გაერო 2 მლნ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. თბ. 2019. https://commersant.ge/ge/post/saqartveloshi-globaluri-inovaciebis-centris-gaxsnistvis-gaero-2-mln-dolaris-investicias-ganaxorcilebs

14. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემების პროექტი. თბ. 23 აპრილი 2019. https://grants.gov.ge/files/1355/IMG%20Manual%20Final_GEO.pdf
15. საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“ თბ. 2016. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3322328?publication=0
16. საქართველოს მთავრობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე დადგენილება. მთავრობის დადგენილება N400. 17 ივნისი 2014 წელი. თბ. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf
17. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. თბ. 2019. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
18. ტყეშელაშვილი შ. საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა, რეგიონის ლიდერი სომხეთი გახდა. Business media Georgia. თბ. 2019. https://bm.ge/ka/article/the-economist-saqartveloshi-demokratiis-xarisxi-gauaresda-regionis-lideri-somxeti-gaxda/47444
19. Андреева Т., Грибинча А. Проблемы привлечения инвестиций в инноваций как фактор экономического роста государства. http://studiamsu.eu/wp-content/uploads/28.-p.173-177.pdf
20. Булах Г.В. Инновационный менеджмент. 2016. https://novainfo.ru/book/?nid=2
21. Кисицына О. А. Подходы к изменению прогресса и качества жизни (благосостояние). 08.07.2016. https://cyberleninka.ru/article/n/podhody-k-izmereniyu-progressa-i-kachestva-zhizni-blagopoluchiya/viewer
22. Скворцов А.В. Проблемы привлечения инвестиций в инновационный бизнес. 2019. http://barmashova.ru/publikacii/problem_privlech_investiz_inovaz_biznes/

23. Спесивцев А. Проблемы инвестиций в малый и средний бизнес. 2017. http://www.e-xecutive.ru/knowledge/announcement/1555163
24. Султанов И. А. Инновационное направление инвестиций. http://projectimo.ru/upravlenie-investiciyami/investicii-v-innovacii.html
25. Удальцова Н. Л. Инвестиции в инновации. Экономика и управление. 2014. http://ecsn.ru/files/pdf/201407/201407_69.pdf
26. Фальцман В.К. Проблемы структурной инвестиционной и инновационной политики в период кризиса. https://ecfor.ru/wp-content/uploads/2017/01/02-strukturnaya-investitsionnaya-innovatsionnaya-politika.pdf
27. Хасанова А. А. Взаимосвязь инвестиций и инноваций как факторов экономического роста. Диссертация. 2014. https://docplayer.ru/25918864-Vzaimosvyaz-investiciy-i-innovaciy-kak-faktorov-ekonomicheskogo-rosta.html
28. Цуброви́ч Я. А., Егорова М. С. Инновации как фактор устойчивого экономического развития страны. Молодой учёный №11 (91) 2015. https://moluch.ru/archive/91/20105/
29. Fleisch E., Weinberger M., Wortmann F. Business Models and the Internet of Things. August 2014. https://www.iot-lab.ch/wp-content/uploads/2014/11/EN_Bosch-Lab-White-Paper-GM-im-IOT-1_3.pdf
30. Forbes. GLOBAL 2000. The World's Largest Public Companies 2019. https://www.forbes.com/global2000/#2ba8c2ac335d
31. Global Innovation Index. 2019. https://www.globalinnovationindex.org/analysis-indicator
32. Kopp C.M. Creative Destruction. Nov 20, 2019. https://www.investopedia.com/terms/c/creativedestruction.asp
33. Luenendonk M. The Innovation Process: Definition, Models, Tips. January 22, 2017. https://www.cleverism.com/innovation-process-definition-models-tips/
34. Mazzarol T. Business angels: what are they and why are they important? August 12, 2012. https://theconversation.com/business-angels-what-are-they-and-why-are-they-important-8794
35. Nieminen J. Innovation Management – The Complete Guide. Jun 25, 2018. https://www.viima.com/blog/innovation-management
36. Peet R. Hartwick E. Theories of Development Contentions, Arguments, Alternatives. The Guilford PressA Division of Guilford Publications, Inc.72

Spring Street, New York, NY 10012. 2009. P.30 https://www.academia.edu/34508119/Theories_of_development

37. Roser M. Human Development Index (HDI). 2019. he last revision was made in November. https://ourworldindata.org/human-development-index

38. World Bank Group. Economy Profile of Georgia. Doing Business 2020 Indicators. P. 34. https://www.doingbusiness.org/content/dam/doingBusiness/country/g/georgia/GEO.pdf

დანართი

დანართი 1.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
1996	**3.8**	...	...	...	...
1997	**242.6**	38.8	48.5	97.0	58.2
1998	**265.3**	19.1	97.8	45.0	103.4
1999	**82.2**	19.4	22.3	20.0	20.6
2000	**131.2**	32.7	30.0	28.9	39.5
2001	**109.8**	20.0	30.8	29.8	29.2
2002	**160.2**	24.4	44.6	36.4	54.8
2003	**334.6**	56.3	80.4	83.4	114.4
2004	**492.3**	118.2	117.2	133.0	123.9
2005	**452.8**	88.6	104.8	79.6	179.7
2006	**1,171.2**	145.2	318.0	332.4	375.5
2007	**1,764.7**	330.8	375.3	470.6	588.0
2008	**1,575.2**	540.1	607.7	136.1	291.3
2009	**666.8**	114.5	178.3	179.1	194.9
2010	**865.6**	176.1	211.5	236.8	241.2
2011	**1,134.0**	222.6	273.1	309.1	329.2
2012	**1,048.2**	312.4	248.0	220.5	267.3
2013	**1,039.2**	291.8	224.1	271.6	251.6
2014	**1,837.0**	331.9	217.6	749.5	538.0
2015	**1,729.1**	343.4	493.2	531.1	361.3
2016	**1,650.3**	392.2	452.1	506.5	299.5
2017	**1,962.6**	411.7	394.0	627.9	529.0
2018	**1,265.2**	323.5	403.6	367.0	171.0
2019*	**1,267.7**	283.6	209.8	427.4	347.0

წყარო. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.